



# ციბის ეროვნული გარემონტი

№ 43 / 13 - 19 სექტემბერი / 2010

- უცინველსი დის ფინანსური ავტორობია **გვ. 30**
- რრ აზრი: ღირს თუ არა თსუ-ში ჩაპარება? **გვ. 08**
- რეალურობაში: ახალი აფხაზეთი **გვ. 34**
- ერაყი: თითოების დასრულებული რიცხვი **გვ. 16**
- „კავკასიის ეპირატი“ საფრთხეები **გვ. 18**
- გორის მუნიციპალიტეტი: უკანონო გარიგება **გვ. 20**
- დავილების მუდმივი თავშესავარი **გვ. 22**
- მეურვე, როგორც სასჯელი **გვ. 24**
- მიზანი პრინციპია: პრიმირალური სანახაობა **გვ. 42**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528




## საქონსტიტუციო ბამბიტი

**გვ. 10**

**FM**  
**ՀՅԵՐԸՆ**  
**98.0**





აზოვი რევუა ვარაუდობა

## ცოხველი:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 08 ორი აზრი  
ლირს თუ არა თსუ-ში ჩაბა-  
რება?
- აღექსანდრე კვიტაშვილი  
vs თეონა დალაქიშვილი
- 10 მთავარი თემა  
საკონსტიტუციო  
გამშვიდობის
- 14 თვალსაზრისი  
ინდოელები მარკ მალენი
- 15 ინტერვიუ  
მოსახლეობაში უნდა  
იგრძნოს, რომ რეფორმები  
მათთვის ტარდება
- ჯეომი მაკოლედონიკი  
მსოფლიო
- 16 თეთქმის დასრულებული ომი

- მეზობლები**
- 18 „კავკასიის ემირატი“  
საფრთხეშია  
**ჟურნალისტური გამოძიება**
- 20 უკანონო გარიგება  
**ადამიანის უფლებები**
- 22 მუდმივი თავშესაფარი
- 24 მეურვე, როგორც  
სასჯელი
- თვალსაზრისი**
- 27 გავაუმჯობესოთ უმაღლესში  
მიღების სისტემა  
**საზოგადოება**
- 30 უნივერსიტეტის ფიქტიური  
ავტონომია  
**რეპორტაჟი**
- 34 ახალი აფხაზეთი
- მედიკორიტება**
- 39 კრიმინალური  
ქრონიკა



- კულტურა**
- 41 ოპერა, როგორც  
ტელესანახაობა  
**სპორტი**
- 42 ხვედელიძე, დაცვა  
მისიდილია  
სანდრო ნავერიანი
- 43 ისევ ქალი, ისევ  
ფეხბურთელი, ისევ  
თავისუფლება  
გიო ახვლედიანი  
**ქალაქში მოხეტიალე**  
**კაცის ჩანაწერები**
- 44 „ოსვენციმ ექსპრესით“  
საქართველოს გარშემო

## გარეკანები:

საკონსტიტუციო გამბიტი



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფინდ  
„ლა საზოგადოება - სერიოზულის“  
მსარდაჭერით.

აფტორის / ავტორების მიერ საინიციატივით  
მასალაში გამოიტენილი მოსაზრება  
არ გამოიხატას ფონდის „ლა საზოგადოება-საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის  
პატიონისტები მასალის მინარევზე.

*The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.*

## მე-20 საუკუნეში დარჩენილი

### ბაბა-ბალები

ძალიან დამაინტერესა თქვენს უურნალში გამოკვეყნებულმა სტატიამ „მე-20 საუკუნეში დარჩენილი ბაბა-ბალები“. თავად ვარ ერთ-ერთი კერძო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი და აპსილუტურად ვიზიარებ იმ ფსიქოლოგის მოსაზრებას, რომელიც აცხადებს, რომ ბალებში წერა-კითხვა და ანგარიში არ უნდა ისწავლებოდეს, სკოლამდელი აღზრდის (და არა განათლების) დაწესებულებებისთვის აუცილებელია სპეციალური საბაზისო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებას მისი ასაკის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საერთოდ, ბოლო დროს სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში ფსიქონევროლოგიური ტიპის პრობლემები და დარღვევები განსაკუთრებით მომატებულია.

მართალია, სტატიისტიკურ მონაცემებს და ზუსტ ციტურებს ვერ დავასახელებ ჟეჭი მეპარება, მოთხოვნის შემთხვევაში მსგავსი მონაცემების მოპოვება შევძლო, თუმცა აუცილებლად დამეთანხმებიან ზემოთთქმული კოლეგები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელები. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული (შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო) მნიშვნელობა ენიჭება სწავლების პროცესის სწორ დაგეგმვას ბავშვის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. სასავლო გეგმისა და მეთოდოლოგიური მასალების შემუშავებისას აუცილებელია ფსიქოლოგების, პედაგოგების,

მეთოდისტების და კვალიფიციური სპეციალისტების კოორდინირებული მუშაობა.

საინტერესო უნდა იყოს სხვა, თუნდაც, აღტერნატიული მეთოდების გაცნობაც. მინდა ერთი სტატია შემოგთავაზოთ. „თავისუფალი აღზრდის ხელოვნება“ (ნაწყვეტი სტატიიდან: „სტატიის მიზანი არ გახლავთ ანტროფიოსფიის და რუდოლფ შტაინერის ნაშრომების მიმოხილვა და კრიტიკა. მხოლოდ ის პრინციპები და მიდგომა მინდა



გაგაცნოთ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, კერძოდ გალოდორფის თავისუფალ ბალებში რომ ხორციელდება“....) დანინტერესების და მონონების შემთხვევაში იქნებ გამოაქვეყნოთ. ნინო ლომიძე, 28 აგვისტო

## ხელისუფლებასთან ხელშეკრული ტელევიზია

მსგავსი სიტუაცია სამტრედიაშიცაა, სადაც ადგილობრივი ტელევიზია

მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. როგორც ტელევიზიის ხელმძღვანელი აღნიშნავს, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, მას ფული გადაუხადოს, რათა საინფორმაციოში გავიდეს სიუჟეტები. გასარკვევია ისიც, რომ ერთი სუური დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში გადის, რომელიც უურნალისტიკის არც ერთ სტანდარტს არ ექვემდებარება. თუმცა, იმის გამო, რომ არჩევნების პერიოდში სამტრედის ბიუჯეტი მთლიანად არჩევნებს მოხმარდა, ტელევიზიებისთვის ფული აღარ დარჩა და საინფორმაციო გამოშვებაც დაიხურა გაურკვეველი ვადით. სამარცხვინოა ასეთი ტელევიზიები.

**jemka, 8 სექტემბერი**  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

ვერ ვხვდები რატომ არის ცუდი როცა საკურპულო ან ნებისმიერი სხვა ორგანო საეთერო დროს ყიდულობს და ამას არა ირიბად, არამედ პირდაპირ აკეთებს. . საინფორმაციოში დროის გაყიდვა სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ვინმეს მიერ ტელევიზიის საინფორმაციო პოლიტიკის კონტროლია.

მართლა არის პრობლემები სიუჟეტების გამართულობისა და სხვა ასპექტებში, რაც უფრო საინტერესო იქნებოდა მედია კრიტიკოსისთვის, ვიდრე იმაზე წერა, რომ თუ მიშას 8 წუთით ვაჩვენებთ მართულები ვართ...

**დავით ძიძიშვილი, 7 სექტემბერი**  
[www.facebook.com](http://www.facebook.com)

რეალისტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავა / კავკასია და კანფლიქტები სოფო ბუკა / უურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოებრივი მასალები / ახალი ნაბეჭდი, ნაინ სახელმწიფო, ნაინ საჯაოსა

ზურგალისტები: მაა წილაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანზოზშილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე, ნინო რობერტი, ნათა გულაძეშვილი

პორტალისტები: მარქ მალენი, გომირგი ცხადაია, კახა თოლორდავა, გიო ახვლედაიანი, ლაპა ბულაძე, სანდრო ნაცერიანი, რატი ამალიონელი, ნინია კაკაბაძე, დავით ბურჯივიძე რეალისტი: ფიორ-რედაქტორი ლევან ხერისელიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლიორქიშვილიძე / რედაქტორ-სტილისტი პატრი მენეჯერის ასისტენტი ლელა შემითოძე / მარეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათა რუსაძე / დისტრიბუტორი ზეგად შემცელია

გამომცემები: შპს „ლინერსალი“ მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)

სახელმწიფო გამოცემები: „ცენტრ შორენალი“, „ცენტრ შორენალი - ლიტერატურა“, „ბინენცია: ადამიანები, მეორები, სტრატეგიები“.

„ლინერსალი“ საავტორო უფლებები დაცულია.

უურნალის გამოცემების მასლების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოცემებია რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

პრემიერა: სტამბულის „აზორის“ მისამართი: თბილისი, ჩიტინშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. [www.phfavorite.ge](http://www.phfavorite.ge)

გამოძიება კერძოა ერთხელ, ყოველ იორდათ. პრემიერა გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალი ფასი 2 ლარი.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

### ჭაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს სოციალურ მეცნიერებებში

#### რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი:

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აკადემიური კვლევების ჩატარებას.

#### პროგრამის ამოცანებია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ხელშემწყობი ინდივიდუალური და ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებას;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესიონალების რეგიონალური ქსელის განვითარებას.

#### კონკურსის პირობები

განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1975–1987 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომლებსაც გააჩნიათ სრული უმაღლესი განათლება და ამავე დროს მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ფლობა. პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც თემატურ სიახლეს, სოციოლოგიური და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდებს გვთავაზობენ.

#### ფონდი აფინანსებს აკადემიურ კვლევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. სამხრეთ კავკასიის ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ახლებური ხედვის შემუშავება.
2. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ კავკასიაში: გადარჩენის სტრატეგიები.
3. საბჭოთა რეჟიმისათვის გაწეული წინააღმდეგობისა და რეპრესიების ისტორია.
4. უთანასწორობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები სამხრეთ კავკასიაში.
5. გენდერული როლების ტრანსფორმაცია.

#### სტიპენდიის ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება თორმეტი თვით (01.01.2011–31.12.2011). სტიპენდიის მოცულობა ყოველთვიურად 250.00 ევროს შეადგენს. ასევე შესაძლებელია ფონდის მიერ ორგანიზებული თანმდევი პროგრამა–სემინარებით, საზაფხულო სკოლითა და პუბლიკაციებით მხარდაჭერა.

სრული ინფორმაცია კონკურსის შესახებ მოიძიეთ ჭაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე:



ფოტო: ლევან ჩილაძე / საქართველოს მთავრობა

## "პატარა ბამახავების" ჩეზოცხია

7 სექტემბერს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღიარებს დევნილების უფლებას, დაბრუნდნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

რეზოლუციას მხარი 50-მა ქვეყანამ დაუჭირა 17-ის წინააღმდეგ; 86-მა თავი შეიკავა.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მსგავსი რეზოლუციები იორჯერ - 2008 და 2009 წლებშიც - მიიღო. შედარებისთვის, 2008 წლის მაისში, (ანუ, აგვისტოს ომამადე) მსგავს რეზოლუციას მხარი 14-მა ქვეყანამ დაუჭირა, 11 წინააღმდეგი იყო, 105-მა კი თავი შეიკავა.

რეზოლუციის მიღებით გაეროს გენერალური ასამბლეა საკითხისადმი საკუთარ პოზიციას აფიქსირებს. თუმცა, მასში ნახსენები არც ერთი მხარისთვის ეს დოკუმენტი საგადაუბულო არ არის. მიუხედავად ამისა, რეზოლუციის მიღებას რუსული მხარის უკამყოფილება მაინც მოჰყვა, თუნდაც, მხოლოდ იმიტომ, რომ გავლენანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ის დოკუმენტი მიიღო, რომელიც მას

საქართველომ წარუდგინა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რეზოლუციას კონტრ-არგუმენტული უწოდა. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რეზოლუცია მხოლოდ ართულებს რეგიონში მდგომარეობას და შეიძლება, ცუდი გავლენა იქონის შენების მოლაპარაკებებზე.

„თბილისის მცდელობა, ამ პროცესში გენერალური ასამბლეა ჩართოს, მხოლოდ დააცილებს მას კონტრეტულ სამუშაოებს და ხელს შეუშლის ნდობის დამყარებას აფხაზურ, ოსურ და ქართულ მხარეებს შორის,“ - ნათქვამია განცხადებაში.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუციის მიღებას „პატარა დიპლომატიური გამარჯვება“ უწოდა: „საბოლოო გამარჯვება იქნება, როცა ოკუპანტები დატოვებენ ჩვენს ტერიტორიას, ჩვენი ხალხი კი ბოლომდე დაიბრუნებს თავის სახლებსა და თავის სამშობლოს,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

## "პატარა ბამახავების" ბანაუბის პროცესი ისვლება

ახლად შექმნილი ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთი პირველი პროექტი „პატარა ბამახავების“ დახვეწია. „ლიბერალის“ ინფორმაციით, ბანაუბის კონცეფცია მთლიანად იცვლება. მომავლის ბანაუბში ახალგაზრდები მათი ინტერესების მიხედვით გადანაწილდებან. ბანაუბში აქცენტი სხვადასხვა თემატიკაზე გაკეთდება. მაგალითად, იქნება ბანაუბი, სადაც მთავარი თემა ეკოლოგია, სპორტი, მუსიკა, სამოქალაქო ლირიკულებები და ა.შ. იქნება.

აქამდე მოუღ საქართველოში „პატრიოტთა“ 7 ბაზა არსებობდა, სამინისტროში ფიქრობენ, რომ ეს რაოდენობა საბამდე შემცირდება. სავარაუდოდ, დარჩება მხოლოდ ვარციხისა და ანაკლიის ბაზები. მესამე, ახალ ბაზა, კი ფარავნის ტბაზე აშენდება. საზაფხულო ბანაუბში უცხოელი ახალგაზრდების ჩამოყვანა გაგრძელდება. ახალგაზრდობის სამინისტრო „პატრიოტული“ ბანაუბის ახალი კონცეფციის პრეზენტაციას 25 სექტემბრისთვის გეგმავს. 2009 წლის მონაცემებთ, „პატრიოტული ბანაუბის“ პროექტზე მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 20 მილიონშიდე ლარი დაიხარჯა.

## ჩისხავები

**9.5%** შეადგინა საქართველოს წლიურმა ინფლაციამ.

**5** მილიარდი დოლარი გამოიყოფა დამატებით ნაბუჟოს გასზადენის პროექტისთვის.

## პირველი ქანის მსხვილი ავტონომია

ავლანეთში დაღუპული პირველი ქართველი ჯარისკაცი მესტა-ში დაკრძალეს. უფროსი ლეიტენანტი, 31-ე ბატალიონის ასეულის მეთაური მუხრან შუკვანი ავლანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში მონაწილეობდა. შუკვანი ავლანეთის სამხრეთი მდებარე ჰელიკონის პროვინციასთან სამშენებლო მისის შესრულების დროს თვითნაკეთ ნამტზე აფეთქდა. შუკვანი შეიარაღებულ ძალებში 2006 წლიდან მსახურობდა. იმავე ოპერაციის შესრულებისას დაბავდა კაპრალი ალიკა გიორგიენდია. კაპრალმა აფეთქების შედეგად ორივე ქვედა კიდური დაკარგა. დაღუპული ოფიცერი საქართველოში 6 სექტემბერს გამდინას უენეს. თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან ერთად სამხედრო პირის ჩამოსკენების ცერემონიას ამერიკელი კონგრესმენები დაესწრენ. საქართველოს ავლანეთში 925 ჯარისკაცი ჰყავს გაგზავნილი, მათ შორის, 750 ავლანეთის ყველაზე დაძაბულ, სამხრეთით მდებარე ჰელიკონის პროვინციაში მსახურობს. ავლანეთში ნატო-ს ეგიდით 150.000 ჯარისკაცი ასრულებს მისიას. გასულ კვირას შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომავალი წლის ივლისიდან ამერიკა ავლანეთიდან ჯარების გაყვანას დააწყებს.



ქართველი ჯარისკაცების ავლანეთში გამგზავრების წინ, აპრილი 2010

## შიჩაბეჭვის მსოფლიო ჩამოთვება

ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე ტოკიოში მიმდინარე ძირდოსტრა მსოფლიო ჩემპიონატს გამოიერა. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის – გიორგი ასანიძის – თქმით, ცირეკიძე გამოსვლებს შორის ისვენებდა და მას არავინ გააგებინა რომ ტატამზე გასვლის დრო იყო.

„ასეთი ელემენტების შეცდომისა დაშვების უფლება არ გვაძეს. ვინმებ პასუხი უნდა აყოს,“ – ამბობს ასანიძე. მისი თქმით, პასუხისმგებლობა მნიშვნელოსა და მთლიანად დღელებაციას ეკისრება. ძირდოში ეს მეორე ფაქტია, როცა ფულავანი „ელემენტარული შეცდომის გამო“ ეთიშება ჩემპიონატს. 1996 წლის ატლანტის იორ-თა ათაშებზე დაით ხახალეიშვილი ანონაზე არ გამოცხადდა. ინკიდენტში გასარკევად, ტოკიოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი გაემგზავრა. ცირეკიძე 2008 წლის პენინის ოლიმპიადისა და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონია.

**67,5** მილიარდი დოლარი შეადგინა ნავთობის გაუზონვის გამო BP-ის ვალდებულებების საერთო მოცულობამ.

## სისატები



„2011-ში ან 2012-ის დასაწყისში მე და პრეზიდენტი მედვედევი ქვეყანაში არსებული სიტუაციის და საზოგადოების განწყობის მიხედვით მოვიქცევით. რუსეთში არავინ (და არც პრეზიდენტი მედვედევი) გააკეთებს ისეთ რამეს, რაც კონსტიტუციას და კანონის უზენაესობას ავნებს.“

**ვლადიმერ პუტინი ყოველწლიურ სადილზე რუსეთის მმართველობაზე საუბრისას.**

„მე არ წავალ საზღვარზე მარტო იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ასე მოისურვა.“

პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ განაცხადა, რომ ქართველებს ალარ უნდა ჰქონდეთ მისი იმედი, როგორც პრეზიდენტ ლეს კაჩინსკისა ჰქონდათ.

„რუსეთი არის უბნის ძველი ბიჭი, ყოჩი, კრიმინალური ავტორიტეტი და უცებ პოსტისაბჭოთა სივრცეში გამოჩნდა ხუთოსანი გოგო თუ ბიჭი, რომელიც ფრიადებს იღებს და ყველას მოსწონს და ყველა თავზე ხელს უსვამს.“

**მიხეილ სააკაშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.**

„ენის ჭარტალსა და ტლიკინს თავი დაანებონ და დოკუმენტი დადონ... საიდან, ვის დაესიზმრა, რა სოროსი?... ამისთვის პასუხი მოეთხოვება ყველას. ან დადონ დოკუმენტი, ან ენას დავუმოკლებ მაკრატლით, ან სეკატორით.“

**გუპაზ სანიკიძე სორისის ფონდის მიერ მისი პარტიის დაფინანსების შესახებ.**

**10** -პროცენტიანი აქციზის გადასახადით იბეგრება სატელეფონო კაფშირი 1 აგვისტოდან.



## "ლესისი" - "სუნსი პონტის" ბოლო ითველი

ნათია ახალაშვილი

„უმძიმესი 700 დღე გავიარეთ. მი- გხვდით, რომ კრიზისიდან ვერ გამო- ვალთ, თუ ძალიან მაღალ პროფესიო- ნალებს მმართველობაში არ გადავეციო ქონება,“ - განაცხადა „ცენტრ პონტი ჯგუფის“ დამფუძნებელმა, მაია რჩეუ- ლიშვილმა ხელშეკრულებაზე ხელის მო- წერამდე.

ხელშეკრულება „ცენტრ პონტისა“ და საინვესტიციო და დეველოპერულ კომპა- ნია „დექსუსის“ შორის გაფორმდა. სწორედ ამ ჯგუფს გადაეცა სამი წლით სამართა- ვად კომპანიის ყველა ვალდებულება და აქტივი. „დექსუსში“ ამბობენ, რომ მომ- დევნო სამი წლის განმავლობაში ყველა ნაკისრი ვალდებულება შესრულდება: ბინების შეჩერბულ მშენებლობას ბო- ლომდე მიიყვანენ, გაისტუმრებენ „ცენტრ პონტი ინვესტიცის“ კრედიტორებსაც.

„დექსუსის“ შესახებ აქამდე არავის სმინა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის არ არსებობდა. კომპანიის სახელი საზო- გადოებამ პირველად „ცენტრ პონტითან“ ხელშეკრულების დადებამდე ერთი დღით დადრე გაიგო.

„დექსუსის“ სამი დამფუძნებელი ჰყავს - გიორგი ქანანაშვილი, ირაკლი კოლაური- ძე და ივანე ცაგურია. ამ კომპანიის შე- ქმნამდე ისინი ცნობილ და წარმატებულ კომპანიებში მუშაობდნენ: „რედიქსი“, „ბანკი რესპუბლიკა“, GRDC.

კონკრეტულ პროექტებს, რომლებზეც თვითონ მუშაობდნენ, არ ასახელებენ და მხოლოდ ზოგადად აცხადებენ, რომ წარმატების მნიშვნელოვანი პირობა მათი სოლიდური გამოცდილებაა. „მოზიდული გვაქს მრავალმილიონანი უცხოური ინ- ვესტიცია სხვადასხვა პროექტებისთვის, გვაქს უძრავი ქონების ბაზარზე მუშაო- ბის რამდენიმეწლიანი გამოცდილება,“ - აცხადებს კომპანიის დირექტორი გორგი ქანანაშვილი.

ამ სამ დეველოპერს, მართალია, ბი- ზენს წრეები იცნობენ, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის მათი სახელები ბე- ვრს არაფერს ამბობს. ამიტომ ამ ცვლი- ლებას „ცენტრ პონტის“ კლიენტების ნანილი კვლავ სკეპტიკურად უყურებს. მათ არ სჯერათ, რომ „დექსუსის“ გამო- ჩენა „ცენტრ პონტის“ მორიგი ტყუილი

არ იქნება - ისევე, როგორც ტყუილი იყო ლაპარაკე იმის შესახებ, რომ კომპანიაში ინვესტიციას დებს ებრაელი ბიზნესმენი, ანდა - დიდი კრედიტი უნდა მიიღონ.

„დექსუსის“ შესახებ ვერაფერი გავა- რკვიეთ. რაც მასობრივი საინფორმა- ცო საშუალებებით ითქვა, მხოლოდ ის ვიცით. არც ვებ-გვერდი აქვს ამ კომ- პანიას. ჯერ არაფერი მჯერა. იქნებ ისევ თვითონ 15 წუთში გააკეთეს შპს „დექსუსი?“ ამბობენ, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეებს ჩაბარდებათ ბინები, რომ- ლებიც დარჩენილ თანხებს შემოიტანენ. იქნებ ამ თანხების მობილიზაციისთვის შეიქმნა „დექსუსი?“ - ამბობს ჯიქიას ქუჩაზე მშენებარე სახლის ერთ-ერთი ბინის მეპატრონე.

„დექსუსში“ ამბობენ, რომ 3 წელიწა- დში ყველა დამყებულ პროექტს დაას- რულებენ და ხელშეკრულებას ყველა კლიენტთან თავიდან დადებენ. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის თქმით, უკვე მოზიდული აქვთ საწყისი კაპიტალიც.

„ცენტრ პონტისგან“ ბინის ჩაბარებას დღეს ათი ათასი მოქალაქე ელის, მათგან 6 ათას კლიენტს ბინის შესაძენი თანხა სრულად აქვს გადახდილი. ხოლო ისინი, ვისაც თანხის ნანილი ჯერაც გადასახ- დელი აქვს, აცხადებენ, რომ ამას მანამ არ გააკეთებენ, ვიდრე მშენებლობა არ განახლდება.

ბოლო დროს „ცენტრ პონტის“ გაეო- ტრიბის შესახებ ხშირად საუბრობდნენ. კომპანია ვერც მშენებლობას აგრძელებ- და, ვერც გადახდოლ თანხას უპრუბნებდა კლიენტებს და არც ჯარიმებს იხდიდა. მათ რჩეულიშვილი არ გამორიცხავს, რომ თუუ „დექსუსი“ მოვალეობებს თავს წარ- მატებით გაართმევს, კომპანია „ცენტრ პონტის“ მმართველობაში სამწლიანი ვა- დის გასვლის შემდეგაც დარჩეს.

„დექსუსის“ წარმომადგენლები დღეს მხოლოდ უახლოესი საქმიანობის შესახებ საუბრობენ - 2010 წლის ბოლომდე შემუ- შავებული ბიზნეს-გეგმის განხორციელე- ბას ისინი 2011 წლიდან აპირებენ. კომპა- ნიაში აცხადებენ, რომ სამუშაოები 25-ივე შეჩერებულ პროექტზე განახლდება. „ცენტრ პონტის“ კლიენტებს მოუწევთ, ახალ მენეჯმენტს ამჯერადაც სიტყვაზე ენდონ. ც

# 30 იანვარი - ახალი ნალი

თამარ კაკაბაძე



9 სექტემბერს ვლადიკავკაზის ცენტრალურ პაზარში მომხდარი ძლიერი აფეთქებისას 19 ადამიანი დაიღუპა. სულ მცირე, 138 დაიჭრა. აფეთქება თვითმკვლელმა ტეტორისტმა განახორციელა.

10 სექტემბერი რესპუბლიკაში გლოვის დღედ გამოცხადდა. ექსპერტები უკვე მსჯელობენ იმაზე, თუ რა შედეგებს მოუტანს მოსკოვს არეულობა ჩრდილო ისეთში - კრემლის მიმართ ყველაზე ღრმიალურ ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკაში.

ვლადიკავკაზის გეოგრაფიული მდებარეობა და ჩრდილო ისეთის როლი ლოკალურ და საგარეო კონფლიქტებში ექსპერტებს იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ აქ მომხდარი ტერაქტი მოსკოვის როგორც საშინაო, ისე — საგარეო პოლიტიკაზეც აისახება.

შიდაპოლიტიკურ არაზე ტერაქტის შედეგი შეიძლება, მედვედევის პროექტზე - კავკასიის ეკონომიკური გარღვევის ტაქტიკაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. ნაცვლად ამისა, კვლავ წინა პლანზე წამოიწევს პუტინის მეცაცრი პოლიტიკის პოლულარიზაცია.

ტერაქტმა, შესაძლოა, ინგუშებსა და ოსებს შორის არსებული მრავალნლიანი კონფლიქტი ახალ ფაზაში გადაიყვანოს, რადგან ვლადიკავკაზის ტერაქტში სამართალდამცავებმა უკვე მიაგნეს "ინგუშურ კავალს" - ტერორისტი-თვითმკვ-

ლელი მართავდა „ვოლგას“, რომელსაც ინგუშური ნომრები ჰქონდა.

ანტიინგუშური განწყობების ახალმა ტალღამ ისეთში უკვე იფეთქა.

1992 წელს რუსეთის ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის პრიგორიდნი რაიონის გამო ტერიტორიული კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მას შემდეგ ამ ორ რესპუბლიკას შორის მშენდობა ძალზე მყიფა. ინგუშური კვალი ნაპოვნი იყო, ასევე, 2004 წელს ბესლანის ტერაქტის დროსაც.

ვლადიკავკაზის ცენტრალური ბაზარი, სადაც აფეთქება მოხდა, ტერაქტების ამოჩემებულ სამიზნეს წარმოადგენს. ბომბის სიძლიერე 30-40 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტი იყო და აფეთქების ტალღამ ახლომდებარე შენობებში მინები ჩამოასხმა.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ვლადიკავკაზში განხორციელებული თავდასხმის მიზანი რუსეთში სიტუაციის დესტაბილიზაცია.

„დღეს ჩრდილო კავკასიაში მომხდარი დანაშაულის მსგავსი ქმედებები ჩვენს მოქალაქეთა შორის მტრობის დასათესად არის მიმართული. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეს დაუუშვათ!“ - განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ჩრდილო კავკასია ის ადგილია, სა-დაც ტერაქტები შემაშფოთებლი სიხშირით მეორდება, თუმცა, ჩრდილო

ისეთში აფეთქებებს გარკვეული თავისებურებები მაინც ახასიათებს.

თუ ბოლო წლების მანძილზე ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებში ტერორისტების სამიზნეს, როგორც წესი, სამართალდამცავები წარმოადგენენ, ჩრდილო ისეთში ტერაქტები მიზანიმართულად მშვიდობიანი მოსახლეობის ნინააღმდეგ იგეგმება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. „ისეთი რუს სამართალდამცავებს მხარდაჭერას უცხადებს. აქ მოჰყავთ დაკავებული ჩეჩენი ტერორისტები. მათ აქ ანაბებენ. მოსკოვის ნაციონალური პოლიტიკა კავკასიაში მუდმივი კონფლიქტების არსებობას ითვალისწინებს, ამიტომ მოსკოვი მუდმივად შეეცდება, ეს ეთნოკონფლიქტები შეინარჩუნოს,“ - ამბობს ვლადიკავკაზელი ადამიანის უფლებათა დამცველი ანდრე ლებედევი, „ეხო კავკაზიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრი სახლის პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში „ერთმნიშვნელოვნად დაგმო ვლადიკავკაზში მომხდარი ტერაქტი.“

„ეს ტერაქტი კიდევ უფრო გაამყარებს აშშ-სა და რუსეთის გადაწყვეტილებას, ითანამშრომლონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და განამტკიცონ ჩვენი ხალხების უსაფრთხოება,“ - განაცხადა ამერიკის ლიდერმა.

ჩრდილო ისეთის დედაქალაქში უდანაშაულო ადამიანების დაღუშვის გამო წუხილი გამოითქვა ოფიციალურმა თბილისმაბაც.

„ტერორიზმს არანაირი გამართლება არ აქვს. ჩვენ ყოველთვის ვემობდით და კვლავ დავგმობთ ტერორიზმის ყველა ფორმა!“ - ნათესავისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

განცხადებაში საუბარია საქართველოს მზადყოფნაზე, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევებში, ნებისმიერი დახმარება გაუწიოს რუსეთის ფედერაციას.

რუსეთის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტი ახალი აფეთქებების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ¤



## მომხრე

**ალექსანდრე კვიტაშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ის, რომ აბიტურიენტების უმცესობა ამიერკავკასიაში პირველ უნივერსიტეტს იჩინებს, ამას ადასტურებს საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებიც.

აბიტურიენტები პირველ არჩევანს ხშირ შემთხვევაში თსუ-ზე აკეთებენ (2 530 ვაკანაზე 24 703 განაცხადი, აქედან პირველ ნომრად თსუ აირჩია 11 511 აბიტურიენტმა). სხვა უმაღლესი სასწავლებლისგან განსვავებით, თსუ-მ შეავსო ყველა ვაკანსია და ახალ სასწავლო წელს, ტრადიციულად, სრული დატვროთით შეხვდა. ძალიან მაღალია ჩვენი სტუდენტების მომზადების დონეც. ერთანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების მაჩვენებლებით ყველაზე წარმატებული და მაღალი რეტინგის მქონე აბიტურიენტები ირცხებიან თსუ-ში, შესაბამისად, ყველაზე მეტი სტუდენტი იღებს სახელმწიფო სასწავლო გრანტს. ამ მაჩვენებელმა ბოლო 2 ნონის მანძილზე საშუალოდ 80% შეადგინა

თსუ-ს 6 ფაკულტეტზე დღეისთვის მოქმედებს 53 საბაკალავრო, 101 სამაგისტრო და 111 სადოკტორო პროგრამა, გაცემითი პროგრამები 26 უცხოურ უნივერსიტეტთან, პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს 43 ქვეყნის 106 უნივერსიტეტთან.

თსუ ჩართულია Erasmus Mundus-ის საერთაშორისო პროგრამაში, რომელიც ქართველ სტუდენტებს ევროპის უნივერსიტეტებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოკტორო პროგრამების გავლის საშუალებას აძლევს.

სტუდენტებს ლექციებს უკითხავთ საერთაშორისო მასშტაბით აღარყებული, როგორც ქართველი, ასევე - უცხოელი პედაგოგები და მეცნიერები.

თსუ-ს გააჩნია საქართველოში უმდიდრესი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, უახლესი კომპიუტერებით აღჭურვილი რესურს-ცენტრები და მომსახურების ცენტრები. დანერგილია სტუდენტთა რეგისტრაციის თანამედროვე ონლაინ სისტემა.

თსუ ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც საგამოცდო ცენტრი ცენტრალურ ბულვარზე ატარებს სერესტრულ გამოცდებს, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ე.წ. ჩანცობას და მიკერძოებულ შეფასებებს; ყველა სტუდენტი ჩაეყიდვა თანაბარ პირობებში, უზრუნველყოფილია მათი ობიექტური შეფასება. ამან, თავის მხრივ, განაპირობა სტუდენტების მომზადების დონის ამაღლება.

მაღლია უნივერსიტეტის კვალიფიციური და კონკურნტუნარიანი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელიც, რისთვისაც ჩვენთან ხორციელდება არაერთი ხელშემწყობი პროექტი.

მნიშვნელოვანად, რომ სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში, აქვთ აქტიური სტუდენტური ცხოვრება და ყველა პირობა, რომ გამოავლინონ სპორტული და შემოქმედებითი შესაძლებლობები.

და ბოლოს, 2011 წელს დასრულდება თსუ-ს პირველი კორპუსის რეაბილიტაციის უნიკალური პროექტი. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განხსნებულ და უსხლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ უნივერსიტეტის ისტორიულ კორპუსს ანალიგი არ ექნება აღმოსავლეთ ევროპაში. პარალელურად, გაგრძელდება უნივერსიტეტის სხვა კორპუსების რეაბილიტაცია. ■



# ლიხს თსუ-ში

■ თსუ ერთადერთი უმაღლესი  
სასწავლებელია, სადაც საგამოცდო  
ცენტრი ცენტრალიზებულად  
ატარებს სერესტრულ გამოცდებს,  
რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ე.წ. ჩანცობას და მიკერძოებულ შეფასებებს;  
ყველა სტუდენტი ჩაეყიდვა თანაბარ პირობებში, უზრუნველყოფილია მათი ობიექტური შეფასება. ამან, თავის მხრივ, განაპირობა სტუდენტების მომზადების დონის ამაღლება.

მაღლია უნივერსიტეტის კვალიფიციური და კონკურნტუნარიანი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელიც, რისთვისაც ჩვენთან ხორციელდება არაერთი ხელშემწყობი პროექტი.

მნიშვნელოვანად, რომ სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში, აქვთ აქტიური სტუდენტური ცხოვრება და ყველა პირობა, რომ გამოავლინონ სპორტული და შემოქმედებითი შესაძლებლობები.

და ბოლოს, 2011 წელს დასრულდება თსუ-ს პირველი კორპუსის რეაბილიტაციის უნიკალური პროექტი. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განხსნებულ და უსხლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ უნივერსიტეტის ისტორიულ კორპუსს ანალიგი არ ექნება აღმოსავლეთ ევროპაში. პარალელურად, გაგრძელდება უნივერსიტეტის სხვა კორპუსების რეაბილიტაცია. ■



**მოწინააღმდეგი**  
თეონა დალაქიშვილი  
თსუ-ს კურსდამთავრებული

თსუ-ში ჩაბარება ბევრისათვის ოცნებაა, ჩემთვის კი უნივერსიტეტი დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა. პირველივე დღეს მივხვდი, რომ ამ დაწესებულებაში თავს სტუდენტად ვერ ვიგრძნობდი. ჩემთვის საინტერესო კითხვებზე უნივერსიტეტში კომპეტენტური პასუხების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა. რაც ჩავაბარე, თსუ-ში სულ რეფორმების ეტაპია, შესაბამისად - დიდი არეულობაა.

მიუხედავად იმისა, რომ იქ, სადაც მე ვაწავლობდი - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე, სწავლის ხარისხი შედარებით მაღალია, პრობლემა მაინც ბევრია. ლექციები ტარდება არა ცხრილის მიხედვით, არამედ მაშინ, როცა ლექტორს სცადია. ეს ლექტორები სამინისტროებში მუშაობენ და ამიტომ უნივერსიტეტი მათთვის ძირითადი საქმიანობა არ არის. ყოფილა შემთხვევები, როცა ლექტორს კვირა დღეს დავუსარებივართ. ამ დროს შენ გაქვს თუ არა რამე დაგეგმილი, ამას არავინ ითვალისწინება. ბერკეტ მიკითხავს, კი მაგრამ, ჩვენ არ გვაქვს უფლებები? პასუხი უცვლელია: მადლობა უნდა თქვათ, რომ თსუ-ში სწავლობთ და „მ დონის ლექტორები“ გასწავლანა.

ახალი საგნები, ძირითადად, არ ამართლებს - პრობლემაა შესაბამისი ლიტერატურის მოძიება, საკითხავი მასალა ან საერთოდ არ არის, ან მხოლოდ უცხო ენაზე არსებობს. ხშირად, ახალი მხოლოდ საგნის დასახელებაა და სინამდგილებში განვლილი მასალა ისწავლება განმეორებით.

სწავლის საფასური მუდმივად იზრდება, ლექციები კი ავარიულ კორპუსში ტარდება, დაბინძურებულ აუდიტორიებში. პრეზენტაცია რომ გააკეთო, ჯერ პროექტორის რიგში უნდა ჩაეწერო, მერე დამაგრძელებლის, თუ რა თქმა უნდა, აუდიტორიაში „შტეფსელი“ მუშაობს.

უდიდესი თანხები ირკვება სტუდენტულ თვითმმართველობის, მაგრამ ცალკეულ სტუდენტს იშვიათად ეძლევა საკუთარი იდეისა და პროექტის განხორციელების საშუალება.

მაგალითად, თსუ-ს და ორი სხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფს გვექნდა ერთობლივი პროექტი - გამოფენა და პრეზენტაცია დევნილების თემაზე. თსუ-ში პრეზენტაცია ვერ გაავაეთეთ - ათვერ მივედი ადმინისტრაციაში და სულ უშედეგოდ. დანარჩენ ორ უნივერსიტეტში კი თავათონ სტუდენტებს გამოფენაც გაუმართოს, პრეზენტაციაც, მნიშვნელოვანი სტუმრები დაპატიჟეს და ძალიან ამაყობდნენ, რომ მათმა სტუდენტებმა ასეთი პროექტი გააკეთეს.

უსამართლობა იქნება, არ აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტში ბევრი კარგი ლექტორია, რომლებიც ცდილობენ სტუდენტის ხმა ბიუროკატიული დაბრკოლებების გავლით დეპარტამენტის მაღალ ეშელონებს მიაწინონ, მაგრამ ეს ვერ ცვლის სისტემას, რომელიც აშკარა კრიზისს განიცდის.

მე სწავლას ვაგრძელებ, თუმცა, მაგისტრატურისთვის უკვე სხვა უნივერსიტეტი შევარჩიე. ■

# თუ არა ანთება?

■ **სწავლის საფასური იზრდება,  
ლექციები ავარიულ კორპუსში  
ტარდება. პრეზენტაცია რომ გააკეთო,  
ჯერ პროექტორის რიგში უნდა დამაგრძელებლის,  
ჩაეწერო, მერე დამაგრძელებების,  
თუ რა თქმა უნდა, აუდიტორიაში  
„შტეფსელი“ მუშაობს.**

# საქონსტიტუციო ბამბიტი

6 წლის წინ, ხელისუფლებამ კონსტიტუცია  
რევოლუციის გმირების ამპიციების  
დასაკმაყოფილებლად შეცვალა.  
რატომ იცვლება კონსტიტუცია 2010-ში?

---

სოფო ბუკია



## 2010

წლის ბოლომდე საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო დოკუმენტს შეცვლის. ეს იქნება 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის 23-ე ცვლილება.

ახალი საკონსტიტუციის მოდელის მიზანი ხელისუფლების შტოებს შორის დარღვეული ბალანსის აღდგენა და ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობიდან შერეულ საპარლამენტო მოდელზე გადასვლაა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მმართველობის ფორმა იცვლება.

2004 წელს სააკაშვილის გუნდისთვის კონსტიტუციის შეცვლისას ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რევოლუციის სამიერ გმირის ამბიციების დაკმაყოფილება და რადიკალური რეფორმების გასატარებლად ყველა შესაძლო დაბრკოლების განეიტრალება.

მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციიდან ერთ თვეში, საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად, მივიღეთ სუბერ-პრეზიდენტი, რომელიც თავისი მმართველობის პირველ წლებში რევოლუციურ, შოკურ და არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს სწრაფად და ხისტად იღებდა.

ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების ინიციატორი პრეზიდენტი იყო, რომლის ნამოწყებებს მთავრობა და ერთპარტიული პარლამენტი უპირბოდ უჭერდნენ მხარს. საკანონმდებლო ორგანომ, რომლის დათხოვნა პრეზიდენტს, დღევანდელი კონსტიტუციით, ადვილად შეუძლია, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ნაცვლად, მისთვის კომფორტის შექმნის ფუნქცია იყიდა.

ამ განუზიმელი ძალაუფლების წყალობით, პრეზიდენტს, რომელიც პირდაპირ ეთერში ათავისუფლებდა, ნიშნავდა და ტუქსავდა ჩინოვნიკებს, საუბრობდა საერთაშორისო ტრიბუნებიდან და სასკოლო გამოცდების რაოდენობას თავად განსაზღვრავდა, სამართლიანად დაეკისრა ერთპირ-

გნული პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. იგი უკავიყოლოთა მთავარ სამიზნედ იქცა. არჩევნების შედეგების გასაპროცესტებლად გამართულ მიტინგზეც და საწვავზე ფასების შემცირების მოთხოვნით გამართულ აქციაზეც ერთი და იგივე ლოზუნგი ისმოდა: „მიშა წადი!“

მომავალ პრეზიდენტს იმის ნახევარი ძალაუფლებაც არ ექნება, რაც დღეს სააკაშვილს აქვს.

პრეზიდენტი, რომელსაც სააკაშვილის შემდგომ საქართველოს მოქალაქები აირჩევენ, აღარ იქნება ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი. პრეზიდენტი ვერ დააკომპლექტებს და ვერ დაითხოვს მთავრობას. არ ექნება ძალოვანი მინისტრების კურატორობის ექსკულუზიური უფლება და არ იქნება პასუხისმგებელი საბიუჯეტო პროცესზე.

იგი დარჩება სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდლად და თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვან თანამდებობებსაც დააკომპლექტებს. მაგალითად, აგვისტოს ომის დროს ახალი

ი დარჩება სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდლად და თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვან თანამდებობებსაც დააკომპლექტებს. მაგალითად, აგვისტოს ომის დროს ახალი

### ■ საკონსტიტუციო რეფორმაზე მსჯელობა მორიგი პოლიტიკური პროცესია, სადაც ოპოზიციამ თავი ვერ გამოიჩინა, რადგან ამისთვის არც საკმარისი ინიციატივა და არც რესურსი არ გააჩინია.

კონსტიტუცია რომ ყოფილიყო, ჯარის სარდალი მაინც პრეზიდენტი იქნებოდა.

იმ ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც დღევანდელ პრეზიდენტს აქვს, მთავრობის მეთაური - პრემიერ-მინისტრი შეასრულებს. ეს თვისობრივად ახალი ფიგურაა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში და ბევრი არაფერი აქვს საერთო ნიკა გილაურის დღევანდელ თანამდებობასთან.

პროექტის თანახმად, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას

მთავრობა და მისი მეთაური წარმართავენ, რომელიც მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნებიან ანგარიშვალდებულნი.

სწორედ ამიტომ, სოციალური პრობლემების მოვარების მოთხოვნით დაწყებული წებისმიერი აქციის აღრესატი ახალი კონსტიტუციის პირობებში პრემიერ მინისტრი იქნება.

ასევე, მინისტრების თუ გუბერნატორების დანიშვნის, გათავისუფლების და „დატუქსის“ უფლებაც მხოლოდ პრემიერ-მინისტრს ექნება. პრემიერი პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე პარლამენტში წარადგენს ბიუჯეტს და პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტების ნაწილიც სწორედ მის კონტრასიგნაციას (ხელმოწერას) საჭიროებს.

საკონსტიტუციო ცვლილებების საპარლამენტო განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება და სავარაუდოდ, ოქტომბერში პროექტს უკვე დაამტკიცებენ.

ძლიერი პრემიერ-მინისტრის პოსტი 2013 წელს ამოქმედდება, იმ დროს,

როცა მიხეილ სააკაშვილი თავის მეორე და უკანასკნელ საპრეზიდენტო ვადას ამოწურავს.

ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში დარჩენის სამართლებრივ შანსს აძლევს. თუ 2012 წლის საპარლამენტო პრეზიდენტს „ნაციონალური მოძრაობა“ მოიგებს, ეს შანსი რეალური გაზდება. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილს ამის სურვილი ექნება.

ფრანგულ გაზეთ „ლე მონდასტრის“ მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა თქვა: „მე მიფიქრია ამ შესაძლებლობა-

# მთავარი თემა

ზე (პრემიერ-მინისტრობაზე), თუმცა, ამჟამად ძალიან ბევრი გაურკვევლობა რჩება. ვინ იცის, როგორი იქნება ორ წელწერაში ეკონომიკური ვითარება, საკონსტიტუციო რეფორმების მდგომარეობა, ჩემი განხყობა და პოლიტიკური რეიტინგი?“

ახალი კონსტიტუციის პროექტის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ყველაზე ნაკლები ცვლილებები საკანონმდებლო ორგანოს შექმნა, რის გამოც ახალი კონსტიტუციის პროექტს დაბალანსებულს ვერ უწოდეს. ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს პარლამენტის უფლებას, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, რაზეც პროცედურათა მთელი თანმიმდევრობა განვითარდება. თუმცა, ამ პროცედურების ვადები “განელილია”, რაც მთავრობის გარეშე დიდი ხნით დარჩენისა და პოლიტიკური კრიზისის წარმოქმ-

ნის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

პარლამენტში შემავალ პოლიტიკურ ძალებს ენიჭებათ ფუნქცია, რომელიც მათ აქამდე არასოდეს ჰქონიათ - ახალ მთავრობას დააკომპლექტებს ის პარტია, რომელსაც საპარლამეტო არჩევნებში საუკეთესო შედეგი ექნება.

პროცედურა ასეთია: პრეზიდენტი, რომელსაც ამ პროცესში მხოლოდ ფორმალური როლი აქვს, წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის იმ კანდიდატურას, რომელსაც საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტია შესთავაზებს. პრემიერობის კანდიდატი თავად შეარჩევს მინისტრებს და სამთავრობო პროგრამასთან ერთად პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს.

საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობა შესამჩნევად იზრდება. ვინ იქნება 2012 წლის საპარლამენტო არჩევ-

ნებზე გამარჯვებული პარტია - ახალი მოდელის პირობებში, ეს გადამწყვეტია.

„2004 წელს პოლიტიკური კლასი არ იყო მზად ამ ტიპის ცვლილებებისთვის. დღეს უკეთესი გარემოა ამ მხრივ - პარტიები გაიზარდნენ. განვითარების ამ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ქვენის მართვაზე პასუხისმგებლობას გაინაწილებენ,“ - ამბობს პავლე კუბლაშვილი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან.

საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო. პრეზიდენტმა საკავშირო მონაწილეობა შესთავაზა.

“მე შევთავაზე ოპოზიციას რიგი წინადადებებისა, მათ შორის - საკონსტიტუციო რეფორმა ძლიერი პრეზიდენტითა და ძლიერი პარლამენტით. ოპოზიცია თავად ჩაუდგეს სათავეში საკონსტიტუციო კომისიას, მან განსაზღვროს დღის წესრიგი, „ - განაცხადა საკავშირომა 2009 წლის 11 მაისს, აპრილის აცეიიში მონაწილე ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ. ამით მან ძალაუფლების გაზიარების მზაობა გამოხატა.

თუმცა, კომისიის მუშაობაში ოპოზიციის ჩართულობა მინიმალურია, მიღებულ პროექტში კი, ხსენებული ბალანსი - სათუო.

საკონსტიტუციო რეფორმაზე მსჯელობა მორიგი პოლიტიკური პროცესია, სადაც ოპოზიციამ თავი ვერ გამოიჩინა, რადგან ამისთვის არც საკარისი ინიციატივა და არც რესურსი არ გააჩნია.

ირაკლი ალასანია, რომელსაც ახალი მოდელი არ მოსწონს, მის განხილვაში არ ერთვება და ფიქრობს, რომ ამით პასუხისმგებლობას მოიხსინოს: „ჩვენ თავიდანვე არ მივიღეთ მონაწილეობა ამ ფარსში, რადგან თავიდანვე განვჭრიტეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ჩანაფიქრი - საკავშირო გააგრძელოს ხელისუფლებაში ყოფნა პრემიე-

## ვენეციის პომისიის პომენტაზე ახალი კონსტიტუციის პირველი პარაგანების აღმიანვიდებელი მომენტი

„საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის მიზანია, ხელისუფლების საპრეზიდენტო სისტემიდან შერეული ტიპის სისტემაზე გადასვლა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება მთავრობის ხელში, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი დაკარგავს მისი, როგორც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ლიდერის როლს და დარჩება სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების გარანტად. მისი როლი, სავარაუდო, წარმოდგენილი იქნება როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ნებირალური არპიტრისა. შემთხვევაზე საკონსტიტუციო ცვლილებები რამდენიმე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოიცავს.

თუმცა, მთავრობის უფლებამოსილების გავრცელის მიუხედავად, პრეზიდენტი ინარჩუნებს მნიშვნელოვან უფლებებს - კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების, შეიარაღებული ძალების და საგანგებო მდგომარეობის

სფეროებში. იგი უშუალო ურთიერთობას ამყარებს პარლამენტთან, მთავრობის გვერდის ავლით იმ შემთხვევებში, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფო მთლიანობასა და სახელმწიფო ინსტიტუტების სათანადო ფუნქციონირებაზე. არსებობს სსვა ინსტიტუტებთან დაპირისპირების რისკი, რასაც ხელს ის ფაქტი უწყობს, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა, მთავრობას კი საპარლამენტო უმრავლესობა ირჩევს, რომელსაც პრეზიდენტი არ აურჩევი. მით უფრო, რომ საპარლამენტო არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, საპრეზიდენტო არჩევნები კი - ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტი ასრულებს პოლიტიკურ როლს, რაც არ შეესაბამება სახელმწიფოს საკონსტიტუციო წესრიგის მუდმივობისა და მისი ერთიანობის მიუკრძოებელი გარანტის როლს.

შესაბამისად, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის მიღებამდე პროექტში გარკვეული ცვლილებები უნდა შევიდეს.

რის თანამდებობაზე. უმრავლესობა მათ ხელშია და პასუხისმგებლობა მათ უნდა გაინანილონ, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობდა".

გასულ კვირას ირაკლი ალასანია და დავით გამყრელიძე საკონსტიტუციო კომისიის წარმომადგენლებს მაინც შეხვდნენ. ორივე პოლიტიკოსი აცხადებდა, რომ ეს მათი ინიციატივა იყო. თუმცა, შეხვედრებიდან გამოსული, ორივე ოპოზიციონერი ერთხმად ამბობდა, რომ დაილოგი უშედეგო გამოდგა.

ალასანიას თქმით, სექტემბრის შუა რიცხვებისთვის მისი პარტია კონფერენციას გამართავს და ქვეყნის კონსტიტუციურ წყობასთან დაკავშირებით საკუთარ ხედვას წარადგენს.

სექტემბრის შუა რიცხვები სწორედ ის პერიოდია, როცა კონსტიტუციის პროექტის განხილვას უკვე პარლამენტი იწყებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ალასანიას კონფერენცია, კიდევ ერთი დაგვიანებული ნაბიჯია მის პოლიტიკურ კარიერაში.

რადიკალური ოპოზიცია ქვეყნის მთავარი კანონის შეცვლაში მონაწილეობის აუცილებლობას ვერ ხედავს. „ამ პროცესში მონაწილეობას აზრი არ აქვს, რადგან ეს ხელისუფლება 2013 წლამდე მაინც ვერ მივა და ეს ცვლილებებიც ძალაში არასოდეს შევა“, - ამბობს ნინო ბურჯანაძე „ლიბერალთა“ საუბარში.

თუ ოპოზიცია ეჭვობს, რომ ეს ცვლილებები სააკაშვილის მთავრებლობის გასახანგრძლივებლად ხდება, ამ პროცესისგან გამიჯვნით მით უფრო უწყობს ხელს ხელისუფლების სცენარის განვითარებას.

ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციას მხოლოდ უკვე მიღებული გადაწყვეტილებების კომენტირების ფუნქცია დაუტოვოს. მიუხედავად დეკლარირებული ღია კარის პოლიტიკისა, ხელისუფლებას ოპოზიციისთვის რეალური ჩართულობის შესაძლებლობა არასოდეს მიუცია. ეს ჩართულობა ყოველთვის იმ ხარისხის არის, რაც ხელისუფლებისთვის არის ხელსაყრელი და ამ პროცესში მონაწილე თვინიერი პოლიტიკური პარტიები ხშირად

იმსახურებენ მმართველი გუნდის ქათინაურებს. მაგალითად, იმის გამო, რომ აგვისტოში არ დაისვენეს და 42-გრადუსიან სიცხეში კონსტიტუციის საჯარო განხილვებში მონაწილეობა მიიღეს.

კონსტიტუციის ახალი მოდელის ეფექტურობაზე მსჯელობა მხოლოდ იქ შესული შესწორებებით მიამიტურია. პრემიერი რომ აირჩიო, საპარლამენტო არჩევნებში უნდა გაიმარჯვოთ. უკანასკნელმა არჩევნებმა კი პოზიციის სისუსტესთან ერთად ისიც აჩვენა, რომ მმართველი გუნდი ხელისუფლებაზე მონაბლივი შესანარჩუნებლად უკან არაფერზე დაიხევს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაღაც მანქანებით პოზიციია პარლამენტში უმრავლესობით მოხვდება, ნინ კიდევ ერთი დაბრკოლება ელის, რომლის გადალახვის პოტენციალი ჯერ არასოდეს გამოუმჯდავნებია - პრემიერის ერთ კანდიდატურაზე უნდა შეთანხმდეს. ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების ნინ პოზიციის გაერთიანების ფუჭი მცდელობები და „გამარჯვების ფორმულების“ ძიება ახალი მოდელის პარლამენტში მთავრობის დამტკიცების დროს რომ განმეორდეს, პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების მთავარი არსი ძალაუფლების გადანანილებაა, იმის მტკიცება, რომ 2013 წლიდან საქართველოში აღარ იარსებებს გადამტებული უფლებამოსილების მქონე ხელისუფლები, ნაადრევია.

დღევანდელი პარლამენტის ბუტაფორიულობის საიდუმლო კონსტიტუციის ხარვეზებზე მეტად მის ერთვეროვნებაშია. ვერც ერთი საკონსტიტუციო ცვლილება ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ მომავალშიც ასე არ იქნება. კონსტიტუცია ვერ იქნება იმის გარანტი, რომ ხელისუფლება გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას საარჩევნო გარემოს შესაცვლელად, ოპოზიცია კი ამ შანსს გამოიყენებს. მ

**სტატიაზე მუშაობდა მაია წიკლაური**

## ძალაუფლების ბარენანილება პსაცი ხელისუფლების პირობებში

### პუბლიკი

- ▶ პრეზიდენტი რჩება ქვეყნის მეთაურად, სამხედრო ძალების მთავარსარდლად და საგარეო ურთიერთობებში უმაღლეს წარმომადგენლად, თუმცა, აღარ წარმართავს და განახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.
- ▶ პრეზიდენტი წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და ნიშავს პრემიერ-მინისტრს.
- ▶ პრეზიდენტს აღარ შეეძლება აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი აქტების გაუქმება ან შეჩერება;

### პარტია-მინისტრი

- ▶ მთავრობა ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.
- ▶ მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი, რომელიც თანამდებობაზე ნიშავს და ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს.
- ▶ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარადგენს ახლად არჩეულ პარლამენტში პირველ ადგილზე გასული პარტია.

### პარტია

- ▶ პარლამენტს უფლება აქვს, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.
- ▶ პარლამენტს სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეუძლია, პრემიერ-მინისტრის ნინაშე ცალკეული მინისტრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დასვას.
- ▶ პარლამენტს პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით შეეძლება.

# ინოვაბი



საქართველოს კულტურული და დიპლომატიური გახსნილობა ქვეყნისთვის ძალიან მომგებიანია.

მარკ მალენი

თბილისში სტამბულიდან ჩამოვირობდი. თვითმფრინავში მგზავრების თითქმის ნახევარი ინდოელები იყვნენ, ძირითადად, პენჯაბის რეგიონიდან. გავესაუბრე და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა თბილისში ბიზნესს სწავლობს. ჩემს მეგობარს აფრიკული მეზობელი ჰყავს. ბოლო დღებში, საქართველოში თურქ და ერაყყალ ქურთებს, და ირანელებსაც შევხვდი. ვისაც ველაპარაკე, ასე მთხოვეს, აქ ჩამოსვლა ადვილია და დასარჩხადაც კარგი ადგილია. მათი აქ გადმისვლის მთავარი მიზეზი ქრთა-მების არარსებობა და ტრანსპორტია.

ერთი ათწლეულის წინ სიტუაცია კარდინალურად განსხვავდებოდა. ჩამოსული უცხოელების უმრავლესობა ამერიკელები და ევროპელები იყვნენ. ისინი აქ მოდიოდნენ მცირე თუ ხანგრძლივი დროით, რათა განესაჯათ, გაენალიზებინათ, შეეფასებინათ, რჩევები მიეცათ, ესნავლებინათ და პერიოდულად, იდეები გამოეთქვათ იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველო. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი.

ძირითადად, ეს საქამოდ ერთგვაროვანი ჯგუფი იყო. ისინი ჩამოდიოდნენ, რადგან ეს მათი სამუშაო იყო; მოდიოდნენ იმიტომაც, რომ საქართველო დიდებული ქვეყნაა, თანაც, აქ ჩამოსვლისთვის კარგად უხდიდნენ. საკვები აქ გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე თავიანთ ქვეყნები. ისინი აღიზროვნებული იყვნენ, ფიქრისძნენ, რომ რაღაც განსაკუთრებულს აკეთებდნენ აქ და ზოგ შემთხვევაში ეს მართლაც ასე იყო. თუმცა, თუ გულწრფელი ვიქწები, უნდა ვთქვა, რომ ეს ურთიერთობა მთლად ჯანსაღი არ ყოფილა, განსაკუთრებით შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში. ის ყველას უსწობოდა, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა და რომ თავად მზად იყო დასახმარებლად. ეს ურთიერთობა უთანასწორო და შეიძლება ითქვას, კოლონიურიც კი იყო.

ახლა სიტუაცია ნამდვილად შეიცვალა. წლის ამ მონაკვეთში რეგულარული ტურისტები ჩამოდიან და მათი ჯგუფები ძალზე მრავალფეროვანია. მე ვნახე სკანდინავიური ოჯახები, ბრიტანელი მოგზაურები, სომეხი და უკრაინელი წყვილები - ისინი აქაურობის დასათვალიერებლად ჩამოვიდნენ, დროის კარგად გასატარებლად. მათი რაოდენობა საკარისი არ არის, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, კარგად ერთობიან და იმედი ვიქონით, რომ მომავალში კიდევ ჩამოვლენ. ზოგადი ტენდენცია ნამდვილად მისასალმებელია.

ყველაზე საინტერესო ჯგუფები მაინც ისინია, რომლებიც საშუალო შემოსავლების ქვეყნებიდან მოდიან. მე ეს კონკრეტულ რამეზე მიმითებს: 1. მათთვის საქართველო სასურველი ადგილია. ცხადია, რომ ეს ადამიანები საქართველოს განიხილავნ, როგორც თავის სამშობლოზე უკეთეს ადგილს - უფრო უსაფრთხოს და სახარპილოს ფულის კეთებისთვის, ან სწავლისთვის. ეს მართლაც წარმოუდგენელი ტრანსფორმაციაა. 2. საქართველოს ამ ყველაფერმა მეტი მრავალფეროვნება მოუტანა. ადრე აქ, ძირითადად, ორი ჯგუფი ჩამოდიოდა: ისინი, ვისაც საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული საქართველოსთან გარკვეული კავშირი ჰქონდათ და აქ მომზადებული დასავლელი სტუმრები (ჩრდილოეთ ამერიკიდან და ევროპიდან). სტუმრებისა და მაცხოვრებლების ახალი მრავალფეროვნება ძალზე ხელსაყრელი იქნება ბიზნესის, ინვესტიციისა და ტურიზმის თვალსაზრისით. 3. სტუმრების ეს ახალი ჯგუფი ქართველებს განიხილავს, როგორც თანასწორებს. 10 წლის წინ დასვლელმა ვიზიტორებმა აქ ბევრი ფული გააქვთეს. ისინი აქ იყვნენ საქართველოს დასახმარებლად და ეს ყველაფერი უთანასწორო ურთიერთობებს ქმნიდა. ისინი ქართველებს განიხილავდნენ აღმოსავლეთ ევროპელებად ან პოსტსაბჭოთა ხალხად. ახალი ვიზოტორებისთვის საქართველო ამ კატეგორიებით არ განისაზღვრება. მათთვის ქართველები, უბრალოდ, ევროპელები არიან, ან უფრო უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ ქართველები.

საქართველოს კულტურული და დიპლომატიური გახსნილობა ქვეყნისთვის ძალიან მომგებიანია. 2004 წელს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც საქართველომ ევროპის ქვეყნებისთვის ვიზის მოთხოვნილება გააუქმა, ქვეყნას ბევრი ინვესტიცია და პოპულარობა მოუტანა. სტუმრების შემდეგი ტალღა უფრო მრავალრიცხვანი იქნება. საქართველოსთვის აღბათ ერთ-ერთი მთავარი იქნება, თუ როგორ შეხვდება იგი სტუმრებს: როგორც საფრთხეს, როგორც ახალ შესაძლებლობას თუ როგორც სტუმრებს? ის, თუ როგორ მოეპყრობან ვიზიტორების ამ ახალ ტალღას, საქართველოს გრძელვადანი მომავლისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ქვეყნის იმიჯი ვაშინგტონის, მოსკოვის, ბრიტანელისა და ლონდონის თვალში.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

# მოსახლეობაში ცნები იბეჭნოს, ხომ ჩაფიქრები მათთვის ასახება

ინტერვიუ გაეროს მუდმივ კოორდინატორთან და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივ  
წარმომადგენელთან საქართველოში,

**ჯეიმი მაკოლდრიკთან**

15 სექტემბერს მსოფლიო დემოკრატიის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. „ლიბერალი“  
გაესაუბრა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელს საქართველოში  
დემოკრატიის განვითარების რამდენიმე ასპექტის შესახებ

სექტემბრიდან საქართველოს პარლა-  
მენტმა ახალი კონსტიტუციის საფარო  
განხილვები დაიწყო. როგორია გაეროს  
განვითარების პროგრამის რეკომენდა-  
ციები ახალ კონსტიტუციაზე და მისი  
მომზადების პროცესზე?

ჩვენ საქართველოში თვალ-ყურს ვა-  
დევნებთ ყველაფერს, რაც დემოკრატიის  
განვითარებას ეხება, მათ შორის – ახა-  
ლი კონსტიტუციის შექმნის პროცესს და  
ამ დოკუმენტს განვითარებას, როგორც  
ხელისუფლების უფრო დაბალანსებული  
მოწყობის წინაპირობას.

ჯერვერობით, ადრეა იმის თქმა,  
თუ რას მივიღებთ საბოლოოდ. კარგი  
იქნება, თუ ხელისუფლება ექსპერტების  
რეკომენდაციებს გაითვალისწინებს,  
თუმცა, ყველაზე მთავარი ის არის, რომ  
საქართველოს მოსახლეობამ იგრძნოს  
ამ პროცესში ჩართულობა. საბოლოო  
ჯამში, კონსტიტუცია ქვეყნის მოქალა-  
ქებისთვის უნდა იქმნებოდეს.

ოპოზიცია თითქმის არ არის ჩართული  
ამ პროცესში, როგორ შეაფასებდით ამ  
ფაქტს?

ჩვენს ფუნქციაში არ შედის პოლიტი-  
კური პარტიების გადაწყვეტილებების  
კომენტირება. თუმცა, უმჯობესი იქნე-  
ბოდა, დიალოგი შემდგარიყო და ახალი  
კონსტიტუციის შესახებ დისკუსიაში მეტ  
ხალხს მიეღო მონაწილეობა.

გაეროს განვითარების პროგრამის  
მიერ საქართველოს პარლამენტისთვის  
გამოყოფილი ხმარდაჭერა წელს 270



ათასიდან 900 ათას დოლარამდე იზრდება.  
რომელ კონკრეტულ სფეროებს მოხმარ-  
დება გაზირდილი ბიუჯეტი?

გაზრდილი ბიუჯეტი, ძირითადად,  
პარლამენტის ქმედუნარიანობის გა-  
ზრდას და თანამშრომლების ტრენინ-  
გებს მოხმარდება. გარდა ამისა, მთავარი  
დაცუჭრები საქართველოს პარლამენტის  
თანამშრომლობას ბალტიისპირეთის,  
სკანდინავიისა და აღმოსავლეთ ევროპის  
ქვეყნების პარლამენტებთან.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას  
ვაქცევთ პარლამენტის როლის გაზრ-  
დას. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია  
მისი მოღვაწეობა, ადმინისტრუტ რესურ-  
სების მომზადება და თანამშრომლების  
კვალიფიკირების ამაღლება. ასევე, დავე-

**„პარლამენტის  
გაძლიერება  
მთავარი ნაბიჯია  
დემოკრატიისკენ.“**

ხმარებით კანონმდებლობაზე სამუშაოდ  
საჭირო უნარების ჩამოყალიბებაში.

პარლამენტის გაძლიერება მთავარი  
ნაბიჯია დემოკრატიისკენ. საზოგა-  
დოებამ უნდა დაინახოს, რომ ძლიერი  
პარლამენტი, რომელიც მათი იდეების  
გამტარებული და გამხმოვანებულია, გა-  
მჭვირვალე ორგანოა, რომელსაც ხალხი  
ენდობა.

გაეროს განვითარების პროგრამა ასევე თანამშრომლობს ახლად არჩეულ თვითმართველობის ორგანიზაციან. რა შედეგი გაქვთ ამ ეტაპზე?

ადგილობრივი თვითმმართველობები დემოკრატიის ცენტრალური საყრდენია. თვითმმართველობისადმი ორი ძირითადი მიღებობა – ერთი მისი განვითარებისთვის საჭირო გამართული საკანონმდებლო ბაზაა, მეორე კი მისი კომპეტენციის ამაღლება, რათა მან ეფექტურად შესარტულოს თავისი ვალდებულებები.

ჩვენი მხარდაჭერა ორივე ასპექტს მოიცავს, ვებმარებით როგორც ეროვნული კანონმდებლობის გამართვაში, ასევე – კომპეტენციის ამაღლებაში, სადაც თვითმმართველობის წარმომადგენლების განათლებას დიდი ყურადღება ეთმობა. დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელ ფაქტორად ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობას მივიჩნევთ და შესაბამისად, მათ ქმედუნარიანობის გაზრდაში ვებმარებით.

## გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა

კომისარიატმა დევნილთა ჩასახლების პროცესზე შესფოთება გამოიყეა და განაცხადა, რომ ეს პროცესი გაუმჯობესებულების მიღინარების. რა სახის რეკომენდაციები აქვს გაეროს განვითარების პროგრამას ამ პროცესთან დაკავშირებით?

ეს რთული პროცესია და მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა, ზოგადად, იზიარებს რეკომენდაციებს და კეთილგანწყობილია მათ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ დევნილების ჩასახლება აქტიურად შექდება მედიაში, უზრენებენ დევნილებს, რომლებმაც მიიღეს მთვარობის წინადადება და იმათაც, ვინც შეთავაზებაზე უარი თქვა, თუმცა, სრული სურათი იმისა, თუ რა ხდება, არ მიგვიღა. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი აგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს ოფიციალური ტერიტორიებიდან იძულებით გდაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ამ საკითხის მოგვარების მიზნით. ც

ესაუბრა ნანა საჭაია

## ქმნების

# თითქმის ესხულებაი მისი

სამხედრო მისია დასრულებულია, თუმცა, ომი კვლავ გრძელდება.

## გიორგი ცხადაია



ამერიკელი სამხედროები ავღანეთში, 2010

2010 წლის 31 აგვისტოს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განცხადა, რომ ამერიკის სამხედრო მისია ერაყში დასრულდა. მისივე თქმით, ერაყში 160 ათასიდან მხოლოდ 50.000 ამერიკელი სამხედრო დარჩება, რომელიც „რჩევებს მისცემენ და დაეხმარებინ“, ერაყის უსაფრთხოების ძალებს. ასევე, ამერიკელი სამხედროები გააგრძელებენ ანტიტერორისტულ ინიციატივას ერაყში ტერიტორიაზე. აღნიშნული სამხედრო კონტიგენტი, ერაყის მთავრობასთან დადგებული შეთანხმების მიხედვით, ქვეყანას 2011 წლის ბოლოსთვის დატოვს.

ობამას სიტყვამ არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია: მერსისტრიმ-მედიის ნანილმა ფრაზა „სამხედრო მისიას დასრულება“, რომ ის დასრულებად მიიღო. უკრალისტებისა და უქავერტების ნანილმა ამ ფრაზაზე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოავლინა. საქმე ის არის, რომ ომი ერაყში ჯერ არ დასრულებულა და სახქომა, 2011 წლისთვისაც რამე შეიცვალოს. პირიქით, შესაძლოა, ვითარება გაუარესდეს კიდეც.

დაძაბულობა რელიგიურ და ეთნიკურ ჯენუფებს შერის გრძელდება, რასაც ჰერიოდული აგრესია და ტერაქტები ახლავს. 2010 წლის მარტის არჩევნებმაც დღემდე შედეგი ვერ გამოიღო და ერაყის მთავრობის ფორმირება ვერ ხერხდება. ამ ფონზე, ამერიკის პრეზიდენტის იპტიმიზმი ბევრისთვის სამართლანი გადაზიანების საბაზი გხდა. ასე თუ ისე, ერაყის ომის ერთი მნიშვნელოვანი ფაზა დამთავრდა და საერთო შეფასებების გაკეთება უკვე შესაძლებელია.

ერაყის ომის მორალური (და სამართლებრივი) მხარის განხილვას სანამ შევუდგებოდეთ, რეალისტური მიღებობა გამოვიყენოთ: ფაქტია, რომ სადამ ჟუსტის გარდა მსოფლიოში სხვა სისხლინი დექტატორებიც არსებობდნენ, მაგრამ მათ საქმიანობაში აშშ ქვეყნის ოკუპაციის გზით არ ჩარეცალა. უფრო მეტიც, რუსნის გენოციდის შემდეგაც, ამ ქვეყნაში დასავლელი მშენდებისმყოფებიც კი არ შესულან.

რა სარგებლივი ნაა ამერიკამ ერაყის ომით? ომი შტატებს 700 მილიარდზე მეტი დაუჯდა, ფორმალურად 7 წელს გრძელდე-

ბოდა და დახახლოებით 4 400 ამერიკული სამხედროს სიცოცხლე შეინირა. ექსპერტები მსჯელობენ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა ამ რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენება, მაგალითად, ამერიკის უცხოეთის ნავთობზე დამოკიდებულების შესამცირებლად. პრეზიდენტმა ოპამამ ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგა. მისი პროექტი „ახალი ენერგია ამერიკისთვის“, ითვალისწინებს, მომდევნო ათწლეულის განმიღლობაში, 150 მილიორდი დოლარის დახარჯვას ისეთი კერძო ინიციატივების ნახალისებისთვის, რომელიც ხელს შეუნყობენ ენერგიის დივერსიფიკაციას.

აქედან გამომდინარე, ჩრდება კითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა ერაყის ომის თავიდან აცილება, 100 000-ზე მეტი ერაყელის და 4 400 ამერიკელის სიცოცხლის გადარჩენა და ომის თანმხლები ყველა სხვა უძღვურებისთვის გვერდის ავლა? პასუხები მრავალფრთხოებია, თუმცა, რეალობა - უცვლელია: ამერიკის ენერგო უსაფრთხოება ჯერ კიდევ დრამატულად დამოკიდებულია არასტაბილური რეგიონების პოლიტიკაზე.

არგუმენტი, თოთქის, ერაყის ომით ამე-  
რიკაში საკუთარი ბაზრისთვის ერაყული  
ნავთობის უსაფრთხო და იაფი მიწოდება  
უზრუნველყო, სწორი არ არს. სინმდვი-  
ლეში, ფასები მის დროს არათუ დავარ-  
და, არამედ კატასტროფულად ანისა. 2007-  
2008 წლებში ნავთობის ფასმა რეკორდულ  
მაჩვენებელს მიაღწია. 2008 წლის ივლისში,  
ერთი ბარელი ნავთობის ფასი რეკორდუ-  
ლი 147.27 დოლარი იყო. ამის შემდეგ, ფა-  
სები ნელ-ნელა ვარდებოდა, რისი მიზეზიც  
დასავლეთში ნავთობზე მოთხოვნის შემცი-  
რება გახდა. ბოლოს ფასი ნელ-ნელა დაუ-  
ბრუნდა „ნორმალურ“. 70-დოლარიან ნიშ-  
ნელს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენა,  
რომ ამერიკის ჯარების ყოფნას ერაყში შე-  
საძლოა, დადებითი გავლენა მოეხდინა ნა-  
ვთობის ფასზე, მცდარია. ყველა მაჩვენე-  
ბელი იმას ადასტურებს, რომ ამ პერიოდში  
ფასი სტაბილური არ გამხდარა, პირიქით  
- იშროებითა.

რაც შეეხება ომის მორალურ მხარეს, არსებობს ე.წ. „სამართლიანი ომის,“ (*just war*) კონცეფცია. ამ კონცეფციის მიხედვით, შეიძლება, გვქონდეს გარკვეული შემთხვევები, რომელიც მორალურად გვა-ვალობაზოგდებას სამხედრო ჩარეგას.

სადაც ჰუსენმა და მისმა კრიმინალურმა ხელისუფლებამ განახორციელა ქურთებისა და შილტი მოსახლეობის სისხლიანი მცვლელობები. ერთი მოსაზრებით, თუ ამერიკას სამხედრო ინტერვენციას 100 000-ზე მეტი ერაყელის სიცოცხლე შეეწირა (ზოგიერთი მონაცემებით ეს ციფრი ერთ მილიონზე მეტა), მაშინ გამოდის რომ ერაყელი მოქალაქეების წინაშე იდგა არჩევანი: ათობით ათასობით ერაყელის სიცოცხლე სადაც ჰუსენის რევიმის დამხმობის სანაცვლოდ. ეს არჩევანი მათ მაგივრად სხვამ - აშშ-მ გააკეთა.

კრიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ არჩევანის უფლება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის - ერაყის მოსახლეობას ჰქონდა. ეს მოსაზრება გადაჭარბებულია, რადგან პილო ორი ათწლეულის ისტორიაში არსე-ბოს შემთხვევები, სადაც სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში სამხედრო ჩარევას დასა-კლეთში მორალურად გამართოლებულად თვლიან (ამისთვის კოსოვოს მაგალითიც კმარა).

ექსპერტების უმრავლესობა ამერიკას გაეროს ქარტიის დარღვევასა და უნიატურულ, ერთპირობრულ ქმედებებში ადანაშაულებს. ამ პროცესში მიზუნი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის გაუმართობასა და ბუნდოვან სამართლებრივ ბაზაში უნდა ვეძებოთ (ზოგ შემთხვევაში, ჩარევა „ჰუმანიტარული მისით“, გამართლებულია, ზოგიერთ შემთხვევაში - არა).

და ბოლოს, ომის პოლიტიკურ განზომილებაზე გადავიდეთ, იმაზე, თუ რა პოლიტიკური შედეგები გამოიწვია ერაყში შექრამ და რა დილექტის წინაშე დააყენა ამერიკა.

2006 წელს, ამერიკული ჯარის შექმნიდან  
სამ წელიანდში ერაყში შიოტებსა და სუ-  
ნიტებს შორის სამოქალაქო ომი დაიწყო.  
შიოტებს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი  
დაჯგუფების ლიდერი მუქთადა ალ-სადრი  
ირანის მხარდაჭერით სარგებლობს და

კული იქნება. სადრისტები კი მეინსტრომ  
პოლიტიკიდან სრულიად გამოთიშულნი  
რჩებან.

მსგავს მიდგომაში სდებდნენ ბრალს ამერიკის ადმინისტრაციას ყირგიზეთის პრეზიდენტ ბაკიევთან დაკავშირებითაც. უკრნალ Foreign Affairs-ში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „ევრაზიის ხელა-ხალი გააზრება“, (Reimagining Eurasia), სადაც ავტორები ამერიკის პოლიტიკის სწორედ ამ ასპექტზე ამახვილებენ ყუ-რადღებას: კონკრეტული პოლიტიკუ-რი ძალების და არა - სახელმწიფოების მხარდაჭერაზე. ავტორების აზრით, ამე-რიკა მხარს უჭერს მხოლოდ ისეთ მთა-ვრობას, რომელიც მკვეთრად პროამე-რიკულია.

Foreign Affairs-ის სტატუაში საქართველოც იყო ნახსენები, როგორც ქვეყანა, რომლის მიმართაც ამერიკას დამახინჯებული საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები აქვს. ქართველი რადიკალი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი თვლის, რომ ამერიკის ადმინისტრაციის შეუძლებელობა პოზიციის სიმწარე უკვე იწნება. ისინათვანთ წარუმატებლობას სწორედ ამერიკის ადმინისტრაციის მტკიცე პოზიციას უკავშირდება. საყოველთაო აღმა ისეთთა, რომ ამერიკა და თუ ფარული გზებით მხარს უჭერს ისეთ რეჟიმებს, რომლებიც პროამერიკულია და არ ცდილობს ისეთი ძალების ჩართვას, რომლებსაც ანტიამერიკული პოზიცია აქვთ. ამ შემთხვევაში, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერი პოზიციები აქვს ოპოზიციას. ბაკიევის შემთხვევაში პოზიციამ გაიმარჯვა, საკაშვილის შემთხვევაში - როგორც ჩანს, დამარცხდა, ერაყის ახალი მთავრობის შემთხვევაში კი მათი ბედი ჯერ კიდევ გაუკავშირდება.

რუსთა, ჩრდილოეთ კავკასია

## "წავასის ციტის საფიტნეში"

ნუთუ, ჩეჩენეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში  
განხეთქილებაა?!

ემილ სულეიმანოვი



დოკუ უშაროვი

ერთი თვის წინ მომხდარი მოვლენა ბევრმა ჩეჩენეთის წინააღმდეგობის მოძრაობის დასასრულის დასაწყისად მიიჩნია.

1 აგვისტოს ე.წ. „კავკასიის ემირატის“ – რუსეთის ჩრდილო კავკასიის ვირტუალური ისლამური სახელმწიფოს – ლიდერმა დოკუ უშაროვმა, რომელიც რეგიონის დამიუკიდებლობისათვის მოსკოვთან ბრძოლას აწარმოებს, იმამის თანამდებობიდან ვადაზე ადრე წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა.

მიზეზად მან ჯანმრთელობის გაუარესება დასახელა. დოკუმ თავის მემკვიდრედ საკუთარი ნაიბი (მოადგილე) და, ამავდროულად, ჩეჩენეთის ალმოსავლეთის ფრონტის სარდალი, ნიჭიერი საველე კამანდირი და დივერსიული ომის სპეციალისტი ასლამბეკ ვადალოვი დასახელა. ორი დღეც კი არ იყო გასული, რომ დოკუმ თავდაპირველი განცხადება უარყო და მას „სრულიად ფალსიფიცირებული“ უწოდა.

უშაროვი საკმაოდ წინდაუხედავად მოიქცა. იმ ფაქტმა, რომ იგი 2-3 დღე-დამის განმავლობაში ემირატის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით ორი აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი განცხადებით გამოვიდა, წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში მნიშვნელოვანი განხეთქილება შეიტანა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვადალოვმა და მისმა საკმაოდ გავლენიანმა

მომხრეებმა გამოაქვეყნეს ვიდეო, რომელშიც უშაროვის საქციელი საკმაოდ მკაცრი ტონით დაგმეს.

წინააღმდეგობის ზოგიერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა უშაროვისადმი ერთგულების ფიცი უკან გამოითხოვა და ყოფილ იმამს მოჯაპედებისადმი უპატივცემულობაში დასდეს ბრალი. მათი სიტყვებით, უშაროვმა საკუთარი გადაწყვეტილება ვიღაცის „ბრძანების“ შედეგად უარყო. მსგავსი ბრალდება, ადგილობრივი ტრადიციით, სერიოზული შეურაცხყოფა. თავის მხრივ, ვადალოვმა ნაიბის უფლებამოსილება მოიხსნა და სხვა ჩეჩენ მოჯაპედებთან ერთად ემირატის ქვეშევრდობობაზე უარი თქვა. აჯანყებულებმა იმედი გამოთქვეს, რომ მალე წინააღმდეგობის მოძრაობის მეორები მთელი ჩრდილო კავკასიის მასშტაბით, გაიგებდნენ მათი გადაწყვეტილების შესახებ და მიემრობოდნენ.

ამით ისინი უარყოფდნენ უშაროვს, როგორც ადამიანს, რომელმაც საკუთარი თავის სრული დისკრედიტაცია მოახდინა.

შემდგომში მოვლენები სწრაფად განვითარდა. ემირ ადამი, ინგუშეთის წინააღმდეგობის ფრთის ხელმძღვანელი, გამოვიდა განცხადებით, რომელშიც უშაროვისადმი თავისი ერთგულება დაადასტურა და მას „უშიშარი მეომარი“ უწოდა.

იგივე განცხადება გააკეთა წინააღმდეგობის მოძრაობის დაღესტნის

ფრთის ლიდერმაც. მათ უშაროვს „კავკასიის მუსლიმების ერთადერთი ლეგიტიმური ლიდერი“ და „ყველაზე პატივსაცემი და გამოცდილი ემირი“ უწოდეს.

სინამდვილეში რა იმაღება დოკუ უშაროვის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების გაუქმების მიღმა და რა არის განხეთქილების ნამდვილი მიზეზი?

უშაროვი მართლაც მძიმედ ავადაა – აგერ უკვე 2005 წლიდან, რაც თავის რეპორტაჟებში რამდენიმე დამოუკიდებელმა კომენტატორმაც დაადასტურა, მაგალითად – ანდრე ბაბიცევიმ.

გასული წლის ნოემბერში, ფეხსბერები წინააღმდეგობის რიგებში ჩანერგილი აგენტის საშუალებით უშაროვზე შეტევა განახორციელა. იგი დაიჭრა. მას შემდეგ კავკასიის ემირატის ლიდერის ჯანმრთელობა დღითიდლე უარესდებოდა. ამჟამად, მას დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება აღარ ძალუდა, რაც დოკუმ დე-ფაქტოდ ამ წლის ივლისის ბოლოს თავის მოადგილედ ვადალოვის დანიშვნით აღიარა.

უშაროვი მეტისმეტად ფრთხილი და უინიციატივო ადამიანია. მისი მეთაურობისას წინააღმდეგობის მოძრაობის ჩეჩენური ფრთა საკმაოდ შესუსტდა, რასაც, პირველ რიგში, ის განაპირობებს, რომ სამხედრო ნიჭით დაჯილდობული ახალი ნაკადი არ არსებობს.

პრომოსკოვურ ჩეჩენ მილიციონერებზე არც თუ ისე ხშირი თავდასხმების გარდა, სამხედრო მოქმედებების



დოკუ უჩაროვი თავის მებრძოლებთან ერთად

მთელმა სიმძიმემ „სუფთა“ ტერორიზმის სფეროში გადაინაცვლა: გახშირდა თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმები რუსეთის ქალაქებზე, რასაც სამოქალაქო მოსახლეობაში მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა. ბევრი მოჯამედი ამ ტაქტიკას დღემდე არ აღიარებს და უღმერთოს უწოდებს. სანაცვლოდ, ისინი საკუთარ რიგებში არსებული „მოღალატების“ – ანუ პრომოსკოვური ჩეჩენების, და „ოკუპანტების“, ჩეჩენეთში განლაგებული რუსული საჯარისო ნაწილების, ნინაალმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ითხოვენ.

არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის, რომ ნინაალმდეგობის წრებში გარკვეული იდეოლოგიური კონფლიქტია. ნინაალმდეგობის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯიხადი, რომელიც არამარტო ჩეჩენეთში, არამედ ჩრდილო კავკასიის მთელ მუსლიმურ ნაწილში მიმდინარეობს, მსოფლიო ჯიხადის განუყოფელი ნაწილია და მუსლიმთა მიწების არამორნმუნეთა და ისლამის მოღალატეთა ოკუპაციისაგან გათავისუფლებას ისახავს მიზნად.

ამ კონცეფციას არ იზიარებს სეკულარული თვალთახედების მომხრე აპმად ზაკაევი, რომელიც, თავის დროზე, ევროპაში ასლან მასხადოვის სპეციალური წარმომადგენელი იყო. ზაკაევი, რომელიც რამდენიმე წელია ლონდონში ცხოვრობს, 2007 წელს კავკასიის ემირატის გამოცხადებას და

ნინაალმდეგობის მოძრაობის „ისლამიზაციას“ თავიდანვე არ დაეთანხმა და ამას მოსკოვის ფანდი უწოდა.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ნინაალმდეგობის მოძრაობის გახლებას? მსგავსი სერიოზული განხეთებულება ნინაალმდეგობის მოძრაობაში უპრეცენდენტოა.

ჩეჩენეთის რგოლის „ამოვარდნა“ შეიძლება, ჩრდილოკავკასიური ნინაალმდეგობის მოძრაობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს მოასწავებდეს.

მართალია, ჩეჩენური ფრონტი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შესუსტდა, მაგრამ იგი უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ რგოლს წარმოადგენს, რომელიც ერთმანეთთან ორ მთავარ ჩრდილოკავკასიურ ფრონტს აკავშირებს – დაღესტნურსა და ინგუშურს, და ასევე, მნიშვნელობით სულ უფრო მზარდ ყბარდობალყარულს.

თავად ჩეჩენებმა ეს კარგად იციან. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვადალოვისა და უმაროვის მომხრეებს შერის კონფლიქტი სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდოს.

ამავდროულად, არსებული ინფორმაციით, ორივე ემირის მოკავშირეები ჩრდილოკავკასიის ნინაალმდეგობის მოძრაობის მართვის უფლებაზე კულისებს მიღმა ბრძოლას ანარმობენ.

ამ მხრივ საინტერესოა ახლაბანს (29 აგვისტოს) რამზან კადიროვის მშობლიურ სოფელ ცენტრორიზე ვადალოვთან დაახლოებული რამდენიმე ათეული ჩეჩენის მიერ წარმატებით

**■ უმაროვი მეტისმეტად ფრთხილი და უინიციატივო ადამიანია. მისი მეთაურობისას ნინაალმდეგობის მოძრაობის ჩეჩენური ფრთა საკმაოდ შესუსტდა, რასაც პირველ რიგში ის განაპირობებს, რომ სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული ახალი ნაკადი არ არსებობს.**

განხორციელებული თავდასხმა. ეს სოფელი აქამდე აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა და ამ თავდასხმამ ჩეჩენური ნინაალმდეგობის ძალა და ვადალოვის მომხრეთა სამხედრო-ტაქტიკური თვისებები აჩვენა. მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, მოახერხებს თუ არა ორივე დაჯგუფბა საერთო ენის გამონახვას და მთელი ჩრდილოკავკასიური ნინაალმდეგობის მოძრაობისათვის დამღუმელ კონფრონტაციას თავიდან აიცილებს. □

**ემილ სულეიმანოვი - მეცნიერებათა დოქტორი; რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევის კათედრა, კარლის უნივერსიტეტი, პრაღა, ჩეხეთი**



ნაგავსაყრელი გორთან, 2010

## კანონო ბაზიზება

სამშენებლო კომპანიას, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის პროექტების ექსკლუზიური შემსრულებელი იყო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან გარიგებაში ამხელენ.

### ნინო თოფურიძე

2010 წლის პირველ აგვისტომდე გორში, ომისაგან დაზიანებული სახლების აღდგენით დაწყებული, ძალების დახოცვით დამთავრებული, ყველაფერი კომპანია „არქმშენსტუდია 2002“-ს ევალებოდა. ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში შედიოდა ფასადების შელქვა, სანიალვრე არხების რებილიტაცია, ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ნაგავსაყრელების



დანაგვიანებული მინისქვეშა გადასასვლელი გორის ცენტრში, 2010

მოწყობა, გარე განათება და გამწვანებაც კი. 2007 წლიდან მოყოლებული, ეს კომპანია გორის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი დაკვეთების შემსრულებელი იყო.

მხოლოდ ძაღლების დახოცვისათვის სამშენებლო კომპანია „არქმშენსტუდია 2002“-მა სამი წლის (2007-2009) განმავლობაში ბიუჯეტიდან თითქმის 106 ათასი

ლარი მიიღო. ქალაქის დაგვა-დასუფთავებისთვის კი ფირმამ მხოლოდ 2009-წელს 840.000 ლარამდე დახარჯა. (2007 წელს იგივე ხარჯები გაცილებით ნაკლები - 337.000 ლარი იყო).

მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტშივე აღნიშნული, რომ ქალაქის სისუფთავისთვის გამოყოფილი ფინანსებიდან 40 ათასი ლარი, „არქმშენსტუდია - 2002“-მა

ნაგავსაყრელამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობას უნდა მოახმაროს.

დასახლებული პუნქტიდან ცენტრალურ ნაგავსაყრელამდე გზა 500 მეტრზე გრძელი არ იქნება. მანქანის სავალი ნაწილი მხოლოდ მოხრეშილია, მის ორივე მხარეს კი ნაგვის გორგი უზარმაზარ ტერიტორიაზე, მტკვრის პირასა გაშლილი. ცეცხლმოკიდებული ნაგვის კვაბლი მთელ მიმდებარედასახლებულ ტერიტორიას ნამლავს.

გორის ერთადერთი მინისტერში გადასასვლელი, რომელიც გოგგბაშვილის დასავენებულ პარკთან მდებარეობს, ნაგვითაა სავაკი. საკვების ნარჩენებითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით ჩახერგილი, ის დიდი ხანია გაუქმებულია.

2007 წლიდან მოყოლებული, სამშენებლო კომპანია - „არქმშენსტუდია 2002“ - ის მუნიციპალურ ტენდერებში ერთპიროვნული გამარჯვების გამო, ეჭვები გორში უკე რამდენიმე წელია არსებობს, რაზეც გორის ადგილობრივ პრესასა და ტელევიზიაში არაერთხელ ითქვა.

საკრებულოს ყოფილი წევრები - კახაბერ ერგებლიძე და თემურ აფხაზებილი, გორის საკრებულოს თავიდომარეს სამშენებლო კომპანიის ლობირებასა და მუნიციპალური ბიუჯეტზეან თანხების მითვისებაში ადანამაულებს.

აფხაზშვილისა და ერგემლიძის მტკცებით, საკრებულოს თავიდომარე ზეიად ხმალაძე და ტენდერების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირი გივი ხუროშვილი სამშენებლო კომპანია „არქმშენსტუდია 2002“-ს ლობირებენ და ყველა ტენდერში ერთპიროვნული გამარჯვების საშუალებას აძლევენ. სანაცვლოდ კი, სწორედ ამ კოპანიის დახმარებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხას იპარავენ.

კახაბერ ერგემლიძე, საკრებულოს წევრი 2006-2009 წლებში: „ძაღლების ლიკვიდაციის მსგავსი ტენდერებითა და ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხას ერთი-ორად ზრდიან. შემდგომ ეს თანხა მაკახინის ფირმას გადაეცემა, თანხის ნაწილი საქმეს ხმარდება, ნაწილი კი - მაკახინის, საკრებულოს თავიდომარესა და ტენდერების უფროსს - ხუროშვილს შორის ნაწილდება.“

„ყველა ადგილობრივ ტენდერში ალექსანდრე მაკახინი და მისი ფირმა იმარ-

ჯვებს, ეს კომპანია საკრებულოსგან თანხებს ერთ პირთან მოლაპარაკების გზითაც იღებს. ბუნებრივია, მარტო მაკარახინი ამ თანხის მითვისების საშუალებას არავინ მისცემს, ვინც ამ კომპანიისთვის ხელოვნურად ზრდის ხარჯებს, სწორედ ისინი ინანილებზენ ფულსაც.“ - ამბობს „ლიბერალთან“ საკარში თემურ აფხაზებილი.

2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადასტურდა ის ფაქტი, რომ „არქმშენსტუდია 2002“ ტენდერებზე მართლაც უკონიურენტო იყო. 2009 წლის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასევე ნათლადაა განერილი, რომ ყველაზე მეტი შეთანხმება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, სწორედ „არქმშენსტუდია 2002“-ს აქვს მიღებული.

აფხაზშვილის მტკცებით, სქემა მარტივი პრინციპით მუშაობს: მუნიციპალიტეტში ცხადდება ტენდერი, რომელშიც მონანილეობას მხოლოდ მაკარახინის კომპანია იღებს, გამარჯვების შემდგომ კი თანხა გამარჯვებულს საკუთარ ანგარიშზე ერიცხება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზეიად ხმალაძე, „არქმშენსტუდია 2002“-ის ლობირებას არც ურწყოფს და ერთ-ერთ ინტერესუში იმასაც ამბობს, რომ ალექსანდრე მაკახინი მისი ახლო მეგობარია. თუმცა „ლიბერალთან“, ინტერესუში ალექსანდრე მაკახინი ზეიად ხმალაძესთან არათუ მეგობრობას, არამედ ნაცნობობასაც კი გამოირიცხავს. მაკახინი წამოყენებულ ბრალდებას, თანხების გადამტებული რაოდენობით მიღებისა და შემდგომ მისი მითვისების შესახებ, ტყუილს უწოდებს, იგი იმასაც გვიხსნის, რომ არათუ ზედმეტი თანხა, არამედ საკარისი რაოდენობის სახსრებიც კი არა დაგვა - დასუფთავებისათვის გამოყოფილი.

თემურ აფხაზშვილი: „როცა ფულის „მოტეხვა“ გინდა, სანდო ადამიანი გჭრდება, მაკარახინი სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს. იგი საკრებულოს თავმჯდომარის - ხმალაძის - ნათესავია. ბუნებრივია, რიგით ადამიანთან ვერ შეხვალ გარიგებაში და არ ეტყვით: ფულის ნანილი შენ, ნანილი კი მე დამიბრუნეო. ამიტომაც მაკახინი, ამ სქემაში სანდო პირი და დამაკავშირებელი რგოლია. საკრებულო გადარიცხავს

თანხას ბანკში, ბანკიდან ფული მაკარახინის გამოაქვს. ფულს ის, ხუროშვილი, ხმალაძე და სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე ადამიანი ინანილებენ“.

ალექსანდრე მაკარახინი მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ფულის მითვისებასთან დაკავშირებით უკაყოფს და მათ უსაფუძლოლის უწოდებს.

„კალებულაცია მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა, მე მასთან შეხება არ მქონია. გარდა ამისა, თბილისის ერთ უბნის დაგვაში მერია 300 ათასს გასცემს, ხოლო მე თვიურად 70 ათასს მაძლევდნენ გორის დასაგველად, არადა, თბილისის ქუჩებზე დიდი ქუჩები აქ არის“ - განვიმარტავს ალექსანდრე მაკარახინი.

ნაგვის რაოდენობის განსაზღვრაში თუ მოსახლეობის მიხედვით ვიმსჯელებთ, თბილისელთა რაოდენობა გორელების რიცხვს 30-ჯერ აღემატება, შესაბამისად ლოგიურობაა, რომ თბილისის დაგვისთვის მეტი თანხა გამოიყოფა.

ხმოლოდ 2009 წელს, სამშენებლო კომპანია „არქმშენსტუდია 2002“ - მა ტენდერითა და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 180,1300 ლარი მიიღო, 2010 წლის - 6 თვის განმავლობაში კი 113,0814. თუმცა, როგორც ითქვა, მაკარახინი გორის მუნიციპალიტეტისათვის საკუთარი მომსახურების შეთანხმებას ვედარ შეძლებს. გორელები კი დასუფთავებულ ქუჩებს, კეთილმოწყობილ ნაგავსაყრელობას და მანანალა ძალებისაგან გასუფთავებულ ქალაქებს ან უკე, მუნიციპალიტეტის რჩეული სხვა კომპანიებისგან უნდა ელოდონ. ქემომ ქართლში ახალი გუბერნატორის დანიშნული შემდგომი, ალექსანდრე მაკარახინი, მუნიციპალიტეტში იმარტინი აღარ არა დაგვა - დასუფთავებისათვის გამოყოფილი.

ქემომ ქართლში ახალი გუბერნატორის დანიშნული შემდგომი, ალექსანდრე მაკარახინი, მუნიციპალიტეტში იმარტინი აღარ არა დაგვა - დასუფთავებისათვის გამოყოფილი არა არა დაგვა - დასუფთავებისათვის გამოყოფილი. ც

**B | S | T** The Black Sea Trust for Regional Cooperation  
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის მრავალების The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნერობის შეხედულებებს.



დევნილების გასახლება

## მარიამ თავშასაფარი

დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება

დაჩქარებულად და ხარვეზებით მიმდინარეობს.

39 წლის გიორგი აბაშიძე ერთოთახში დედასთან, მეუღლესთან და სრულწლოვან ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. ოჯახი საპირფარეშოს, აბაზანასა და სამზარეულოს მათ სართულზე მცხოვრებ ათეულობით მეზობელთან იზიარებს. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილ საერთო საცხოვრებელში 19 კვ. მეტრიანი ფართი აბაშიძების დროებითი თავშესაფარი იყო. ახლა ეს ოთახი მათი საკუთრებაა.

„ახალ წლამდე ათი დღით ადრე 5-6 კაციანი ჯგუფი მოვიდა ეკონომიკის სამინისტროდან. აზომეს მთელი სართული და გვითხრეს, სახელმწიფო აპირებს, ეს ფართი კერძო საკუთრებაში გადმოგცეთო,“ – იხსენებენ საერთო

საცხოვრებელში. დევნილებს სამინისტროს წარმომადგენლებმა განუმარტეს - ვინც ფართს არ დაიკანონებს, 10.000 დოლარს მისცემენ, მაგრამ ეს ფული როდის იქნება, გაურკვეველია; ამიტომ, სჯობს, ფართი დაიკანონოთო. იანვრის შუა რიცხვებში აბაშიძების ოჯახს უკვე საკუთრების დამადასტურებელი საბუთი ჰქონდა.

დევნილებისთვის მუდმივი საცხოვრებელი ფართების დაკანონება ახალი სახელმწიფო სტრატეგიაა. 1992-1993 წლებში აფხაზეთიდან დევნილები მთელ საქართველოში რამდენიმე ასეულ შენობაში შეასახლეს და აქამდე მათ საკუთრებაში მხოლოდ ის უძრავი ქონება იყო, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა. დევნილებისთვის მუდმივი სა-

ცხოვრებლის გამოყოფის და დაკანონების პროცესი სახელმწიფო 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაიწყო. სამოქმედო გეგმის მიხედვით სახელმწიფო საცხოვრებლით უზრუნველყოფს როგორც აფხაზეთიდან, ისე 2008 წლის ომის შედეგად სამხრეთი ოსთამთებები ტერიტორიიდან იძულებით გადადგილებულ პირებს.

ახალი სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდა ბინით უზრუნველყოფის სტანდარტებიც. სახელმწიფომ დევნილთა ოთხსულიან ოჯახს, რომელიც კომპაქტურ დასახლებაში დარჩენას გადაწყვეტს, მინიმუმ 25 კვ. მეტრიანი ოთახი (აბაზანის ფართის გამოკლებით), იზოლირებული სამზარეულო, საპირფარებებში და სააბაზანო უნდა გამოუყოს.



კარავი, რომელშიც დევნილების შენობის სახურავის შეკეთებამდე უნდა იცნოვონ, სექტემბერი 2010

„დევნილებს წინასწარ უნდა სცოდნოდათ, რა პირობები იყო ხელშეკრულებაში ჩადებული და რას გამოიწვევდა ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმა. ბევრმა ვერც კი გააცნობიერა, რას მოანერა ხელი,“ – ამბობს ელისო ჩაბრავა, დანიის დევნილთა საპჭოს პროექტების ოფიცერი.

გიორგი აბაშიძე ამბობს, რომ მისთვის არავის უფასამს, სახელმწიფოსაგან უკეთესი პირობების მოთხოვნის უფლება თუ ჰქონდა, „ეს უფრო მოტყუებას ჰგავდა, ვიდრე - რაღაცის შეთავაზებას“. მას, ისევე როგორც დევნილთა უმრავლესობას, სრული ინფორმაცია არ ჰქონდა; და იმის შიშით, რომ „ესეც არ დაეკარგა“, გადაწყვიტა, ხელი მოწერა პრივატიზაციის ხელშეკრულებისთვის, რომელიც მას საცხოვრებელს სიმბოლურ ფასად - 1 ლარად - უკანონებდა.

გიორგი აბაშიძის ოჯახი ფიქრობს, რომ მაიც გაუმართლა. ბევრ მათ ნაცნობს, რომ მეტიც თბილისში კომპაქტურად იყვნენ შესახლებულები, დროებითი საცხოვრებლების სამუდამოდ დატოვება მოუწიათ. შენობები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, პრივატიზებული

„განახლებული კოლექტიური ცენტრის ან თუნდაც ახალი კოტეჯის გადაცემა საკმარისი არ არის, თუ დევნილებს არ ექნებათ სათანადო პირობები ოჯახის სარჩენად; თუ მათ არ ექნებათ შემოსავალი, რამდენიმე წელიწადში მათი საცხოვრებელი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება.“

იყო და სახელმწიფომ კანონიერ მფლობელებს დაუბრუნა. დევნილთა ეს ნაწილი რთული არჩევანის წინაშე დადგა - მათ ან 10.000 დოლარი უნდა აელოთ, ან საცხოვრებლად სამეცნიეროს რომელიმე სოფელში, დევნილთა სპეციალურ დასახლებაში უნდა გადასულიყვნენ.

ეს შეთავაზება დევნილთა ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. „მე 18 წლია აქ ვარ, ყველა ჩემიანი აქ არის. ჩემი და, დედაჩემი მეხმარებიან საკუებით. ფოთიდან რა ვქნა?! ვერც მე ჩამოვალ კვირაში ერთხელ აქ და ვერც ისინი ივლიან იქ“, - ამბობს აფხაზეთი-დან დევნილი გულნაზ ჯაბუა, რომელსაც ცერებრალური დამბლით დაავადებული შეიღო ჰყავს. ჯაბუა პროტესტის ნიშნად ქალიშვილთან და ორ სხვა დევნილთან ერთად სამინისტროს წინ მეორე კვირაა კარავში ცხოვრობს. ის მოითხოვს, რომ სახელმწიფომ მუდმივი თავისესაფარი თბილისში, ან თბილისთან ახლოს მისცეს.

გამოსახლების პროცესის თანმდევ პრობლემებზე მიუთითებს სახალხო დამცველის აპარატიც. „დევნილები წინა დღეს, ან ორი დღით ადრე, ზეპირად იგებდნენ, რომ სასწავლო უნდა დაუცალათ ფართი. მათ არ ჰქონდათ საკუთარი ნივთების მშვიდად გატანის საშუალება. დევნილებმა არ იცოდნენ, სად მოხდებოდა მათი განსახლება, როდის დაერიცხებოდათ კომპენსაციები მათ, ვინც ფულად თანხას ელოდა და ა.შ. ეს ხელს უშლიდა დევნილებს გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი“, - ამბობს მობუდსმენის წარმომადგენელი სიფონ ბენაშვილი.

სახელმწიფო სტრატეგიაში შემუშავებული სტანდარტების მიხედვით - თუ ოჯახი რეგიონში გადავა საცხოვრე-

ბლად, სახელმწიფომ ის იზოლირებული საცხოვრებელი ფართით უნდა უზრუნველყოს. 1-2 სულიანი ოჯახებისთვის გათვალისწინებულია 25-35 კვ. მეტრი, ყოველ დამატებით მოსახლეზე კი - 5-10 კვ. მეტრი. თუმცა, დევნილთა უმრავლესობის მთავარი საფიქრალი საცხოვრებელ პირობებზე მეტად დასაქმება. ისინი შიშობენ, რომ რეგიონში, ახლადჩასახლებულ ოჯახებს, რომელთაც არც მინა ექნებათ და არც გარანტირებული სამუშაო ადგილები, თავის რჩენა ძალიან გაუჭირდებათ.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, რომელიც აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან ერთ კილომეტრში მდებარეობს, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი თხილით ვაჭრობა. რუხში დევნილთა ცენტრის მშენებლობა რამდენიმე თვის წინ დასრულდა და იქ მაშინვე დაბინავდა თბილისდან გასახლებული რამდენიმე ათეული იჯახი. მათ მხოლოდ საცხოვრებელი ფართი გადაეცათ, მინა, რომელსაც დევნილები სოფლის მეურნეობისთვის გამოიყენებენ, თავად უნდა შეიძინონ.

თუმცა, რუხში ჩასახლებულ ოჯახებს ჯერ დასაქმებაზე ფიქრისთვის არ სცალიათ - ორი კვირის წინ ქარმა შენობას სახურავი ახადა და დევნილები შენობის ეზოში გაერთიანდებით დაბარებების პროგრამის მიერ დადგმულ 20 კარავში ცხოვრობენ.

„ახალი გადმოსულები ვიყავით და ეს უბედურება დაგვატყდა თავს. ის ლამე აქ მცხოვრებ დევნილებს არასოდეს დაგვაზინდება. მაღლობა ღმერთს, არავინ დაშავებულა და მოვახერხებთ შენობიდან გამოსვლა. იმედია, 15 სექტემბრისთვის დაასრულებენ გაკეთებას. ყოველ შე-

## ადამიანის უფლებები

მთხვევაში, ასე გვპირდებიან“, - ამბობს  
გალის სოფელ ოქუმიდან დევნილი 59  
წლის ნურუ გაბელაია.

დევნილთა კოლექტიური საცხოვრებლების დაჩქარებულად და ხშირად უხარისხოდ აშენების გამო საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ორგანიზაციები აკრიტიკებენ. „განახლებული კოლექტიური ცენტრის ან თუნდაც ახალი კოტეჯის გადაცემა საკარისია არ არის, თუ დევნილებს არ ექნებათ სათანადო პირობები ოჯახის სარჩენად; თუ მათ არ ექნებათ შემოსავალი, რამდენიმე წლიწადში მათი საცხოვრებელი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა მათ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის სჭირდებათ“, - ამბობს გაეროს ლტკოლუმთა საქმეების უმაღლესი კომისრის ნარმომანებელი სიუზან მარი-ჯონსი.

იგივე შენიშვნა აქვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასაც: „სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს დევნილები პირობებით, რომელიც მათ სამუალებას მისცემს, იცხოვრონ ნორმალური ცხოვრებით, ჰქონდეთ სრული და თანაბარი ხელმისაწვდომობა საცხოვრებელ პირობებთან, საარსებო წყაროსთან, განათლებასა და ძირითად მომსახურებასთან“, - ნათქვამია ასამბლეის №1648 დადგენილებაში.

სულ სამი ძირითადი პუნქტია, რომლის გამოც საერთაშორისო ორგანიზაციები აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას: გამოსახლების პროცესი იყო დაჩარებული და გაუმჯობერადე, ამიტომ დევნილთა უმრავლესობა არაინფორმირებული დარჩა; პირობები ახლადაშენებულ კოლექტიურ ცენტრებში არ შეესაბამება სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სავალდებულო სტანდარტებს; და მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გამოყოფა არ არის საქმარისი დევნილთა გრძელვადიანი დაბინავების-თვის – მათ, ასევე, ესაჭიროებათ დასაქმების პერსპექტივა. **■**

სტატიაზე მუშაობდნენ:  
მარი ნასყიდაშვილი თბილისიდან და  
თამუნა შენიდა სამეცნიეროდან.



ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო, თბილისი

# ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ԿԱՆԱԿԸ

საქართველოში მეურვეები ქმედუუნარო ადამიანზე  
ზრუნვაზე მეტად, მათი ქონებით არიან დაინტერსებული,  
სახელმწიფოს, კი მეურვეების კონტროლის ბერკეტი არ აქვთ.

ნათია გულიაშვილი

„სულით ავადმყოფები“ და „ქუა-სუსტები“ - ასე მოიხსენიებს ფსიქი-კური აშლილობის მქონე ადამიანებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ამ დოკუმენტის 1120 მუხლის „ე“ ქვე-პუნქტი ასეთ ადამიანებს ქორწინების უფლებას არომევს. თუმცა, ტერმინო-ლოგიურად და არსით დისკრიმინაციული ეს მუხლი მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც ფსიქიური აშლილობის მქონე ადამიანი ქმედუნაროდ ცნობის შემთხვევაში ხვდება.

გზა ქმედუნარობამდე, ანუ უფუნ-ქციო არსებად ქვევამდე, არც ისე გრ-ძელია. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქიური აშლილობის მქონე ადამიანის ოჯახის წევრი, ახლობელი ან საავადმყოფო, სადაც ის მკურნალობს, სასამართლოს მისი ქმედუნაროდ ცნობის შესახებ მიმართავს და ეს მიმართვა დაემაყოფილდება, ამ ადამიანს ფაქტობრივად, ყველაფრის უფლება ერთმევა. ამის შემდეგ, სოციალური მომსახურების სააგნეტო მას მეურვეს უნიშნავს, რო-მელიც მთლიანად განაგებს მის ცხო-ვრებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრიმა 2 თვის წინ პროექტი „იურიდიული დახ-მარება ფსიქიური პრობლემების მქო-ნე ადამიანებისთვის საქართველოში“ დაასრულა. 70-მდე სადავო საქმე და შემოსული უამრავი სატელეფონო ზარი მონმობს, რომ საქართველოში მეურ-ვების პასუხისმგებლობა ადამიანებს არათუ არასწორად აქვთ გააზრებული, არამედ, ამ სტატუსს ხშირად სამეურ-ვეო პირის ქონების ხელში ჩასაგდებად იყენებენ.

ნანა კორტანელის საქმე ამ პროექტი-ში განსაკუთრებულია. ორი წლის წინ, ნანა და მისი დედა, სასამართლო ქმე-დუნაროდ ცნო. დედა-შვილი ასათია-ნის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ქრონიკულ განყოფილებაში გადაიყვა-ნეს, მათ მეურვედ კი ნანას ძმა დაი-ნიშნა. 2 წლის განმავლობაში ის დის და დედის კუთვნილ პენსიას იღებდა, თუ-მცა, ვალდებულების საწინააღმდეგოდ, ამ ფულს თავად მოხმარდა.

კანონის თანახმად, მას არც იმის

უფლება ჰქონდა, დის და დედის პი-რადი ქონება გაეყიდა, თუ ამას მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებლობით ვერ დაასაბუთებდა. მეურვემ დაწერა განცხადება, რომ დას და დედას ერთად ცხოვრება არ შეეძლოთ, რომ მათი და-ასაბული ურთიერთობა მათვე ფსიქი-კურ მდგომარეობას ართულებდა, რის გამოც აუცილებელი იყო გაეყიდათ სა-ხლი, სადაც მანამდე ერთად ცხოვრო-ბდნენ. სანაცვლოდ ის ორი სხვადასხვა ბინის ყიდვის პირობას დებდა.

„მართლაც იყიდა - ერთი დისთვის, ავარიული ბინა სამტრედის რაიონ სო-ფელ ნაბაკევში, სადაც ცხოვრება ფა-ქტობრივად შეუძლებელია. დედისთვის - სხვა რაიონში. თანაც გაითვალისწი-ნეთ, ეს არის სოფლის გარემო, მინა, სადაც ნანა კორტანელს ფიზიკურად მუშაობა არ შეუძლია“ - ამბობს ადა-მიანის უფლებათა ცენტრის პროექტის ხელმძღვანელი ოლგა კალინა. გამო-ვიდა, რომ მეურვეს კანონი ფორმა-ლურად არ დაურღვევია და პირობაც შესასრულა.

„ნანა კორტანელს პირველად რომ შევხვდი, ქმედუნარობის სტატუსი რამდენიმე თვის წინ ჰქონდა მიღებუ-ლი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, იქი-

თუ არა შემოთავაზებული მეურვე, და მეტიც, არც სასამართლო პროცესზე მოიწვევია ისინი, რომ „ცალი თვალით მაიც შეეხედა“ რა მდგომარეობაში იყენება. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონში კი აღნიშნულია, რომ დაუშვებელია პაციენტის უფლებების შეზღუდვა მხოლოდ ფსიქიური აშ-ლილობის დიაგნოზის საფუძველზე, სასამართლომ სხვა გარემოების და ადამიანის სოციალური ადაპტაციის ხარისხიც უნდა გაითვალისწინოს.

საქართველოში ოჯახის წევრების დაინტერესება, ფსიქიკური აშლილობის მქონე ახლობელი ქმედუნაროდ ცნონ, ძირითადად არ ცდება მათი ქონებით დაინტერესებას. „რეკავენ და ამბობენ, რომ ვთქვათ, ჩემს მეზობელს ფსიქი-კური პრობლემები აქვს, არავინ ჰყავს და მეყითხებიან როგორ გავფორმდე მეურვედ, რომ მისი ქონება გადმომი-ფორმდესო,“ ამბობს ადამიანის უფლე-ბათა ცენტრის იურისტი.

ასეთი მეურვეები სტატუსის მინიჭე-ბის შემდეგ, საკუთარ ახლობლებს, უმრავლეს შემთხვევაში, საავადმყო-ფორმებელი ტოვებენ.

ნანა ზავრადაშვილი იმბუდსმენის ოფისის ექსპერტი ფსიქიატრია. მისი

## ■ საქართველოში ოჯახის წევრების დაინტერესება, ფსიქიკური აშლილობის მქონე ახლობელი ქმედუნაროდ ცნონ, ძირითადად არ ცდება მათი ქონებით დაინტერესებას.

დან მოყოლებული თითქმის დღემდე მაქვს მასთან ურთიერთობა და ქმე-დუნარობის არაფერი შემინიშნავს“ - ამბობს ფსიქიატრი მანანა ელიაშვილი, რომელიც ამ ოჯახის ამბავს ასათიანის ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობის პერიოდიდან იცნობს.

ელიაშვილი ეჭვქვეშ აყენებს სასა-მართლოს მოქმედებას, რომელმაც დედა-შვილის ქმედუნარობის შესა-ხებ გადაწყვეტილების მიღებამდე არც მათი აზრი გაითვალისწინა, უნდოდათ

თქმით, მონიტორინგი, რომელსაც ისინი დროდადრო ატარებენ, საკმარი-სი არაა იმ მეურვეების კონტროლის-თვის, რომელიც გამოჯანმრთელებულ ოჯახის წევრს საავადმყოფოში ტოვე-ბენ. მეურვეები დირექტორთა სახელზე წერენ წერილებს, რომ თანახმა არიან, მათი სამეურვეო პირი სიცოცხლის ბო-ლომდე ინსტიტუციაში დარჩეს.

„ყოფილა ასეთი შემთხვევაც - ვაიძუ-ლეთ ერთი მეურვე, წაეყვანა თბილისის საავადმყოფოდან პაციენტი და რამდე-

# კადამიანის უფლებები

ნიმე დღეში გავიგეთ, რომ რეგიონში დაუწენია. ანუ, სხვა საავამდყოფოში დამალა. თუმცა მეორე პრობლემაა, რომც წაიყვანოს, შემდეგ რა ხდება მათ შორის. ამ ოჯახებს არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ. გარდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მეურვეებს არ აქვთ განათლება, თუ როგორც უნდა მოუარონ სამეურვეოს, როგორ მოიქცნენ კრიტიკულ სიტუაციაში, როგორ გამონახონ საერთო ენა და შეძლონ ნორმალური კომუნიკაცია, როგორ დაძლიონ სტრესული სიტუაცია და ა.შ.“

ფსიქიატრები აღნიშნავენ, რომ მეურვეების გაკონტროლება უნდა ევალებოდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელსაც მეურვის დანიშნვის და მოხსნის პრეროგატივა აქვს. თუმცა ამ სააგენტოს სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკა სანებლივი კი ამბობს, რომ შეუძლებელია არსებული რესურსებით მუდმივი თვალყურისდევნება.

„ჯერ ერთი, საქართველოს მასშტაბით სულ 197 სოცმუშაკი გვყავს, აქედან 43 თბილისში. როგორ უნდა მოხერხდეს ამ შესაძლებლობებით მუდმივი მონიტორინგი? გარდა ამისა, ეს ხომ ამ ადამიანების პირადი ცხოვრებაა. როგორც მაგალითად, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, წყვილის ცხოვრებას ვერ გააკონტროლებთ. მხოლოდ ძალადობაზე რეაგირება შეიძლება. ასევე ჩვენთან, თუ მეურვემ

დაარღვია რამე, მერე შეგვიძლია მოვუსნათ სტატუსი.“

სანებლიერ ამბობს, რომ სოცმუშაკები საფუძლიანად სწავლობენ პოტენციურ მეურვეს, ათვალიერებენ მის სახლს, საცხოვრებელ პირობებს, შეუძლია თუ არა მას დაუბრკოლებლად მეურვეობის განევა. ამის შემდეგ კი კანონმდებლობა სააგენტოს არანაირ კონტროლს არ ავალდებულებს და რეაგირება მხოლოდ კონკრეტული საჩივრის მიღების შემთხვევაშია შესაძლებელი.

თუმცა ოლგა კალინას თქმით, სააგენტო ამგვარი საჩივრების მიღების შემდეგაც გულგრილია. „კორტანელების საქმეზე არაერთი განცხადებით მივმართე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მიპასუხეს, რომ ისინი ამ მეურვეზე მონიტორინგს დაიწყებდნენ. ამის შემდეგ, რამდენიმე თვე გავიდა. დღემდე პასუხი არ მიმიღა.“

სახალხო დამცველის ბოლო საპარლამენტო ანგარიში მოწმობს, რომ სოციალური მომსახურების საკითხებს, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი საბუთებით უზრუნველყოფას, პენსიონების, თავშესაფრების და მეურვეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერც საავამდყოფოები წყვეტენ. მათ უნდა ჰქონდეთ დაინტერესება, გაუშვან მეურვეებისგან წლობით დატოვებული სამეურვეო პირები, რომლებსაც ფსიქიური აშლილობა გამწვავებული აღარ აქვთ და პოსპიტალური მკურ-

ნალობის ნაცვლად, რეალიბიტაცია სჭირდებათ. მაგრამ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მეურვისგან მიტოვებული, ან სულაც მარტოხელა ქმედუუნარო ადამიანი, არაინტიტუციურ პირობებში, სახლში თუ რეალიბიტაციის ცენტრში გადაიყვანოს.

ნანა ზავრადაშვილის თქმით, არაპუმანური და დისკრიმინაციულია, როცა ადამიანს, ფსიქიური აშლილობის სიმწვავის მიუხედავად, ართმევ ყველაფრის უფლებას. „თუ ადამიანი ცდილობს თავისი თავი გამოკვებოს, იცის რაღაცის გამოყენება, ფულის გადახდა - როცა მას ყველაფერს ართმევენ, ამით ის ავტომობილურად კარგავს ამ უნარებს და ფუნქციას.“

ფსიქიური აშლილობის მქონე ადამიანის მეურვეზე მიბარებით, სახელმწიფო მასზე პასუხისმგებლობას იხსინის: „სახელმწიფოს აღარ აქვა საფიქრალი, რომ სახლში აკითხოს, დაეხმაროს, დაიცვას, გააანათლოს და ა.შ. დაუნიშნავ მეურვეს და თავისუფალი ხარ.“

ასეთი მიდგომის შედეგი კი ნანა კორტანელის ცხოვრებაა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, ის დღეს უკვე ქმედუნარიანადა ცნობილი. თუმცა მას არც საცხოვრებელი ბინა აქვს და არც რაიმე დანაზოგი. რადგან კანონი არ დარღვეულა, სახლის გაყიდვის და პენსიის გაფლანგვისოვის ის ძმას ვერ უჩივლებს. ნანა დღემდე ასათიანის სააგადმყოფოში ჩრება. ■



ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო, თბილისი

# ბავაშავობის უმაღლესი მილიანის სისტემა



2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოლებამ აღმოფხვრა უსაზღვრო კორუფცია და გააჩინა მერიტოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა. ხუთი წლის თავზე მნიშვნელოვანია სისტემის კრიტიკული შეფასება და გაუმჯობესებაზე ფიქრი.

სიკო ჭანაშია

საჭიროა, დავსვათ ფუნდამენტური კითხვა იმის შესახებ, თუ რა მისია უნდა ჰქონდეს ამ სისტემას. კორუფციისგან თავისუფალი, მერიტოკრატიული, გამჭვირვალე, სანდო, რელევანტური, სამართლიანი, სხვა სისტემებზე პოზიტიური ზეგავლენის მქონე - ეს არის კარგი სისტემის მახასიათებლები და არა - მიზნები.

სისტემას რამდენიმე ძირითადი მიზანი შეიძლება, ჰქონდეს:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისთვის მზა ადამიანების გამოვლენა;

ბ) სტუდენტობის მსურველებისთვის იმგვარი გარემოს შექმნა, რაც უმაღლეს საფეხურზე სწავლისთვის უკეთ შეამზადებს;

გ) სისტემა უნდა ეხმარებოდეს დაბალი სოციალური შესაძლებლობების მქონე ადამიანებს საკუთარი თავის მრავალმხრივად წარდგენაში.

თუ დღევანდელ სისტემას ამ ჭრილში შევაფასებთ, სერიოზული პრობლემები იყვეთება. სისტემა არასაკმარისად ამონმებს აპიტურიენტების უმაღლესი სასწავლებლისთვის მზაობას, საქმიანდ მცირე და ზოგ შემთხვევაში, უარყოფითი გავლენა აქვს იმაზე, თუ რამდენად ემზადებიან ადამიანები იმ სიძნელეებისთვის, რაც მათ უმაღლესში სწავლისას ერთ; უპირატეს მდგომარეობაში აყენებს უკეთეს საწყის სოციალურ პირობებში მყოფ მოქალაქეებს.

უმაღლესი სასწავლებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება, მათ შორის, სტუდენტების მიმართ მოთხოვნების ნაილში.

ზოგი განსაკუთრებულ მონაცემებს ითხოვს: კონკრეტულ უცხო ენას,



მისალები გამოცდები, თბილისი

კონკრეტულ ნინასნარ საგნობრივ ცოდნას, ზოგისთვის კი მომავალი სტუდენტების ნიგნიერებისა და მათემატიკური აზროვნების მინიმალური კომპეტენციაც საკმარისა. აპიტურიენტების მზაობაზე მსჯელობაც უმაღლესების საჭიროებებსა და მოთხოვნებს უნდა ეფუძნებოდეს. ამიტომ, მხოლოდ სტანდარტული და ერთიანი კრიტერიუმებით აპიტურიენტების შეფასება არაეფექტურია.

უმაღლესები სტუდენტების შერჩევაში მინიმალურად მონაწილეობენ. სასწავლებლების ნაწილი სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგით. სახელოვნებონ და სასპორტო სპეციალობებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები არ არის ერთადრთი კრიტერიუმი, რის საფუძველზეც თქვენ სტუდენტი გახდებით. საჭიროა, ამავდროულად გაიმარჯვოთ კონკურსები, რომელსაც უშუალოდ უმაღლესი ატარებს. გამოდის, რომ ზოგ უნივერსიტეტს აქვს იმის შესაძლებლობა,

სპეციალიკური მოთხოვნები დააწესოს მომავალი სტუდენტებისთვის, უმეტესობას კი - არა. თუმცა, კარგად თუ დავაკვირდებით ჩვენს სისტემას, აღმოვაჩინთ, რომ ყველა უმაღლესს აქვს საკუთარი სტუდენტების შერჩევისას განსაკუთრებული მოთხოვნების დაწესების შესაძლებლობა. ამას ისინი ეწ. სტუდენტების „მობილობის“ დროს აკეთებენ. ანუ თქვენ თუ ვერ მოხვდებით თქვენს სასურველ სპეციალობაზე სასურველ უნივერსიტეტში მაღალი კონკურსის გამო, ყოველთვის გაქვთ შესაძლებლობა, ერთი ნელი ისნავლოთ ნაკლებად სასურველ უმაღლესში და შემდეგ გადახვიდეთ იმ უმაღლესში, სადაც „მობილობის“ ფარგლებში ადგილები თავისიუფლდება. გადასვლისას შესაძლოა, თქვენ მოგიწიოთ უმაღლესის მიერ დაწესებული სპეციალური ბარიერის გადალახვა (გამოცდა, გასაუბრება ან სხვ.).

დღევანდელი სისტემა ნაკლებად პოზიტიურად მოქმედებს იმაზე, რომ მო-

მავალი სტუდენტი სათანადოდ იყოს მომზადებული უმაღლესში სწავლის გაგრძელებისთვის. უმაღლესების ის ნაწილი, რომელიც სწავლის თანამედროვე ფორმებს იყენებს, საკუთარი სტუდენტებისგან გარდა საგნობრივი ცოდნის, კომუნიკაციისა და რაოდენობრივი აზროვნებისა, მრავალი სოციალური უნარის ფლობას ელის. სტუდენტს უნდა შეეძლოს საკუთარი მოსაზრების სათანადოდ პრეზენტირება, მსჯელობა, განხილვადება, მეცნიერულად აზროვნება, ჯგუფებში თანამშრომლობითი ურთიერთობა, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და სხვ. დღევანდელი მისაღები სისტემა ამ უნარების განვითარებისკენ არ უზიდებს, რადგან ეს თვისებები წარმატებას ამ სისტემაში არ განაპირობებს.

ფებათ, ვისაც იმთავითვე უკეთესი ფინანსური მდგომარეობა აქვთ. რადგან ამ პირობების უზრუნველყოფაზე სახელმწიფოა მნიშვნელოვნად პასუხისმგებელი, საჭიროა, რომ მანვე იზრუნოს შესაძლებლობების მაქსიმალურად გათანაბრებაზეც იმისათვის, რომ სოციალური მობილობა გახდეს შესაძლებელი.

რა იქნებოდა ამ ვითარებაში გაუმჯობესების წინაპირობა? მნიშვნელოვანია, რომ გადაიდგას ნაბიჯები რამდენიმე მიმართულებით:

ა) უმაღლეს სასწავლებლებს უნდა დაუბრუნდეთ უფლება, თავად განსაზღვრონ, როგორი მონაცემების, მისწრაფებების ან ინტერესების მქონე სტუდენტების მიღება სურთ. ეს არ ნიშნავს იმ სისტემის დაბრუნებას,

ბებში წევრობა და სხვ. მეორე მხრივ, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ კოგნიტური უნარები, არამედ - სოციალურიც. შესაძლოა, ამ უნარების გამოხატულება იყოს აბიტურიენტის მონაწილეობა სკოლის ან სხვა სახის თვითმმართველობაში, მისი აქტივურობა თემის განვითარების პროექტებში, სამუშაო ან სანარმოო პრაქტიკის გამოცდილება და სხვ.

ცხადია, ერთი შეხედვით, ეს სისტემა მრავალ რისკს შეიცავს კორუფციის მხრივ, მაგრამ ამ რისკების მართვა სავსებით რეალისტურია. მსგავს რისკებს შეიცავს დღევანდელი ენ. „მობილობაც“, მაგრამ საზოგადოების მხრივ როგორც ჩანს, დღეს პრობლემად არ აღიქმება. თუ დღევანდელ ვითარებაში ამ პროცესს მხოლოდ სახელმწიფოს კორუფციის არადაშვების ნება არეგულირებს. შემოთავაზებულ პროექტში კი მრავალი სხვა ფაქტორიც იქნება ჩადებული.

პროცესის სახელმწიფო რეგულირების გარდა (მაგ. უმაღლესების აკრედიტაციის წანილად მისაღები პროცესის შეფასება), თავისთავად მრავალი კრიტერიუმის არსებობა ამცირებს კორუფციის რისკებს. თუ ვთქვათ სკოლის ნიშნები ერთი მხრივ რამოდენიმე კლასის ნიშნების შედეგად გამოყენილი საშუალო ნიშანი იქნება და მეორე მხრივ კი მისი წონა საერთო შეფასების წონაში იქნება მცირე (5-10%), ეს შეამცირებს სკოლებში კორუფციის მნიშვნელობას.

დღევანდელმა სისტემის შემოღებამ ხუთი წლის წინ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოიტანა. თუმცა საერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე დაფუძნებული უმაღლესები მიღების სისტემის მეშვეობის მონიტორინგი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით, აკრედიტაციის პროცესში მისი ინტეგრირებით და სხვ. შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში (მაგ. გასაუბრების დროს) ვიდეო-დოკუმენტირების ტექნოლოგიების გამოყენება და სხვ.

ბ) კონკურსისას აპიტურიენტის შეფასება უნდა მოხდეს პოლისტურად. ერთი მხრივ, ის უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ცოდნისა და უნარების მხრივ რაიმე კოგნიტური ტესტის საფუძველზე, არამედ, წინასწარ განვლილი გზის გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს სკოლის ნიშნები, ოლიმპიადებში მონაწილეობა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით, წრეებში და კლუ-

## დღევანდელმა სისტემის შემოღებამ ხუთი წლის წინ

**მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოიტანა. თუმცა საერთაშორისო**

**მასშტაბით, მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე დაფუძნებული**

**უმაღლესში მიღების სისტემა მხოლოდ საქართველოს, ირანსა და ჩინეთს აქვთ.**

ერთიანი ეროვნული გამოცდები ამონებს მხოლოდ გარკვეულ საგნობრივ ცოდნას, ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის, რაოდენობრივი და ვერბალური აზროვნების უნარებს იმ ფარგლებში, რასაც ტესტი გამოცდის. ეს ფარგლები კი გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე რეალური პრობლემების გადაჭრისას ამ უნარების გამოყენება. მაგ; მარტივი კვლევის ჩასატარებლად სხვადასხვა საგნობრივ ტესტებში გაბნეული უნარებისა და ტესტებით გამოუცდადი ცოდნის მულტიდისციპლინურად გამოყენება უნდა შეგეძლოს.

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დედაქალაქის სკოლადამთავრებულებს საშუალოდ უკეთესი ქულები აქვთ, ვიდრე სხვა დასახლებების მოსწავლეებს. ეს ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, რომ უპირატესობა ეძღვევა უკეთეს საწყის პირობებში მყოფ აბიტურიენტებს. გამოდის, რომ სახელმწიფო გრანტის მოპოვება უფრო მეტად მათ ხელი-



# იკითხეთ ლიბერალის განახლებულ პორტალზე

**www.liberali.ge**

## ნეონ პეპიზვილის პლოგი

### მეცნიერები

### ხელისუფლების ნავაში

კანონის უზრუნველყობა საქართველოში მშენებად ესმით: ჩვენი ხელისუფალნი კანონების დარღვევას ერიდებიან. როცა რაღაც გადაწყვეტილებისთვის სჭირდებათ, მათ უბრალოდ, ცვლილ და საკუთარ სურილებს არგებენ. ხშირად ცვლილების შესახებ საზოგადოება პოსტფაქტუმ იგებს. პარლამენტი უკვე კარგა ხანია იქნა იმ ადგილად, სადაც მთავრობის ნებისმიერ სურვილს და დაკვეთას მორჩილად ასრულებენ. იქ არაფერი ხდება საინტერესო: პოლიტიკური დეპატები აღარ იმართება. სამაგიეროდ, თავად პარლამენტი წარმატებით იმართება მთავრობის მიერ.

## გიორგი ცხადაიას პლოგი

### TED – ხელი შევუცემოთ

### „იდეების სესის“

ამას წინათ TED-ზე სწორედ იმ ვიდეოს მივაგენი, რომელიც ტენინს ამოუცნობი ფენომენის თემას ეხება. ამ თემაზე ნანახი ვიდეოებიდან საუკეთესოა. მომხსენებელია: ამბიციური, გენიოსის აურის მქონე ახალგაზრდა კაცი, ოდნავ გამაღიზიანებული საკუთმული საუბრით და არასასიამოვნო კომუნიკაციის უნარით. თვალის ერთი შევლებით წარმოვიდგინე, როგორი სახე ექნებოდა ამ ადამიანს სხევებთან საუბრისას, იდეებით, ალბათ, ნარცისი მეცნიერის ჰაბიტუსით. მოგვიანებით, მის ვიდეოზე ვიდაცის კომენტარს წავანები - „ეს კაცი ყველაზე დიდი ეგოს პატრონია, ვინც კი ტედ-ზე გამოსულაო“. გასაკვირი არც არის, პრეზენტაცია ეხებოდა თანამედროვე ბიოლოგისა და კიბერნეტიკისთვის ყველაზე მეტად ამბიციურ თემას - ადამიანის ტეინს.



### მულტიმედია

### რატომ შევურთოდ გულაშვილის „ოძროს სიას“

## გიორგი კიკონიშვილის პლოგი

### როცა ფისტივალი ყარს!

ზაფხული, სცენა ლია ცის ქვეშ, ლუდი, მეგობრები, კარგი მუსიკა. ხომ ხვდებით რომ შესანიშნავია ნებისმიერი მელომანისთვის. რაკილა წელს გემრიელ საზაფხულო მუსიკალურ ფესტივალს ვერ დავესარი, გადავწყვიტე სიზმარში მაინც ამეზდინა იცნება. აა ასე, დავიძინე და თავი ზღვისპირა როკ-ფესტივალზე წარმოვიდგინე. მშენები ამინდი იყო. მცხუნვარე მზე ლუდს მაღ-მაღე ათბობდა, მაგრამ მეგობრების გარემოცვაში კარგი მუსიკის მოსმენის იმედით აღტკინებულს ევ სულ არ მაღარდებდა. დაინტო. პირველივე წუთებში მიგხვდით, რომ ხმის პულტან იპერატორი ან არ იჯდა, ანდაც, იჯდა, მაგრამ ჯობდა არ მჯდარიყო. საშინალად გახმოვანებული ჯგუფების გამოსულის შემდეგ შემდეგი ჯგუფის დროც დადგა. ლუდი საბოლოოდ გათბა. როგორც იპტიმისტს, მჯეროდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა უკეთესობისკენ.

## გიორგი ცხადაიას პლოგი

### კრისტოვარ ნოლანის

### „დასაცეისი“ – „მატრიცის“ დაგრუნვება

კრისტოვარ ნოლანის ახალი ფილმი „დასაწყისი“, როგორც მითხვეს, ძალიან პოპულარული ყოფილა ფანტასტიკურ-ფილმოსოფიური უანრის მოყვარულ მაყურებელში. ასეთ მაყურებელს, როგორც წესი, ასევე, მოსწონს ფილმები „მატრიცა“, „კუბი“, „მერიობოტი“ და სხვ. რომ არ დაგიმაღლოთ, მეც მათ დიად რიცხვს განვეკუთვნები. „დასაწყისის“ საყურებლადაც იმიტომ წავედი, რომ ამ უანრის მორიგი ნიმუშისგან სიამოვნება მიმეღო. ემოციური თვალსაზრისით, ფილმი მართლაც გადატვირთული და დაბატულია, ტიპიური „ექსენის“ ყაიდაზე გამოჭრილი.

დრამატურგული თვალსაზრისით, ფილმში სიახლეები ფაქტობრივად არ არის: ჰოლივუდური ფილმია, თხრობითი სიუჟეტით და თითქმის ჰქონი ენდით. შეიძლება ჰოლივიდური სტანდარტიც არის იმისი მიზეზი, რომ ფილმის შესრულების მანერამ შინაარსი თითქმის გააფუქს. ქვემოთ სწორედ ამაზე მოგიყენებით. ვისაც ფილმის ფილმის კონცეპტუალური კონცეპტუალური არ გიყვართ (და სექსუალური სიამოვნების მონიჭების მაგივრად, თავს გატკიებთ), შეგიძლიათ გამოტოვოთ.

## სიახლე

### ვორუში ლიბერალის პორტალზე





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, სექტემბერი 2010

განათლება

# უნივერსიტეტის განვითარება ისევ გარედან შერჩეულ მენეჯერს ჩააპარეს.

## თამარ ბაბუაძე

ქვიშისა და ნაგის გროვა, გამჭვირვალე ცისფერ სარემონტო ბადეში გახვეული ფასადი, დასაგებად გამზადებული ფილების გორა და ცარიელი ეზო – უკვე მეორე წელია, უნივერსიტეტის პირველ კორსუსში ივანე ჯავახიშვილის ქანდაკება ასეთ გარემოში იმყოფება.

შენობის რეკონსტრუქციის ზუსტი ბიუჯეტი არ სახელდება. უკვე ყოფილი რექტორის, გაი ხუბუას თქმით კი, სარემონტო სამუშაოებს უნივერსიტეტის კურსადმთავრებულის - ბიზნესშენ ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუ“ აფინანსებს.

კორპუსი სტუდენტებისთვის საგარაუდო 2011 წლისთვის გაიხსნება. ჩანაფიქრის მიხედვით, რემონტის დასრულების შემდეგ, პირველი ქართული უნივერსიტეტის ისტორიული შენობა სუპერ-თანამედროვე სასწავლო სივრცედ უნდა იქცეს, „რომელსაც ანალოგი მთელ აღმოსავლეთ ევროპაში არ ექრნება“.

„ეს უნივერსიტეტი, ტრადიციების გათვალისწინებით, მთავარი ქართული უნივერსიტეტია და მისი წინ ნამოწევა საშვილიშვილო საქმეა“, - აცხადებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ამ საშვილიშვილო საქმის სისრულეში მოყვანა კი, უნივერსიტეტიდან სკანდალით ნასული გია ხუპუას შემდეგ, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, ალექსანდრე კვიტაშვილს ეკისრება ისე, რომ ბუნდოვანი რჩება პასუხი კითხვაზე – რატომ შეარჩიეს ამ თანამდებობისთვის ასე ნაჩქარევად აკადემიური ხარისხის არმქონე ყოფილი მინისტრი.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დამზადებით მეორე კორპუსში განთავსებულ კაბინეტში მუშაობს. მოჩუქურთმებულ ფე-

ხებზე მდგარ, მძიმე ხის ყავისფერ მაგიდასთან ჯდომა დისკომფორტს უქმნის. თუმცა, ასეთსაც მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც უნივერსიტეტში დახვდა, თვალს არიდებს. ახალი რექტორი ვრცლად მიმოიხილავს საუნივერსიტეტო რეფორმის მთავარ მიღწევებს, მაგრამ გააზრებულად უვლის გვერდს იმ პრობლემებზე საუბარს, რაც თსუ-ს დღემდე უშლიდა ხელს, გამხდარიყო „განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანი და პირველი უნივერსიტეტი“ – ისეთი, როგორიც ახლა კვიტაშვილს სურს, გააკეთოს.

მხოლოდ პოზიტურ ცვლილებებზე ფოკუსირება რექტორის ცნობიერი არჩევანია. მას რეფორმის გასაგრძელებლად პროფესორ-მასწავლებელთა სრული მხარდაჭერა სჭირდება. კვიტაშვილმა უნდა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც გაუჭირდა მის წინამორბედ ორ რექტორს – ხმაურისა და პროფესორ-მასწავლებელთან მწვავე დაპირისპირებისა გარეშე მიაღწიოს მიასანს. მიზანი კი ასეთია: ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტსაგან ევროპული დონის უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნას.

პრეზიდენტიც, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნანილიცა და თვითონ კვიტაშვილიც თანხმდებიან იმაზე, რომ ახალი რექტორის მთავარი პლესი მენეჯმენტში დაგროვილი დიდი გამოცდილება იქნება. თუმცა, ისევ დგას კითხვა – დაეხმარება თუ არა რექტორს მიზნის მიღწევაში ის, რაც მუდმივად უნივერსიტეტის წინსვლის შემაფერხებელი ფაქტორი იყო. ეს არის წლების განმავლობაში კარგად გამჯდარი მითი უნივერსიტეტის პირველობის შესახებ.

ცოდნის ტაძარი – ეს სახელი წლების

განმავლობაში თსუ-ს სინონიმად იქცა. საბჭოთა წლებშივე დამკვიდრდა ნარმოდგენა – რომ იყო უნივერსიტეტებილი, უფრო პრესტიულია, ვიდრე – იყო გამჭელი; გერქვას უნივერსიტეტის პროფესორი, უფრო დიდი ჩინ-მედალია, ვიდრე – რომელიმე სხვა ინსტიტუტში მუშაობა.

მსგავსი ნარმოდგენის დამკვიდრებას ხელი უნივერსიტეტის ისტორიულმა მნიშვნელობამ შეუწყო. 1918 წლის 8 თებერვალს პირველი ქართული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნით ქართველ მეცნიერებს აცნება აუხდათ. საქართველოში პირველად შეიქმნა სამეცნიერო სივრცე, სადაც მუშაობა ქართულ ენაზე დაიწყო. უნივერსიტეტი იმ ქვეყნის ნაციონალური სიბოლო გახდა, სადაც ახალგაზრდებს აღარც კი ახსოვდათ, მაგალითად ის, თუ როგორ ითქმის ქართულად სიტყვა „ვოდოპადი“ (ივანე ჯავახიშვილის მოგონებიდან). ასეთმა გადამეტებულმა თეოტშეფასებამ უნივერსიტეტის სიახლეების მიღებისა და გარდაქმნის მიმართ იმუნიტეტი გამოუმუშავა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, გიგი თევზაბის აზრით, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნივერსიტეტის საბჭოთა წყობილების დაგდომისთანავე დაკარგება: „ჯავახიშვილს დიდი კომპლექსური უნივერსიტეტის შექმნა სურდა, ისეთივეს, როგორიც იმდროინდელი ეროვნული უნივერსიტეტი იყო. თუმცა, გასაბჭოების შემდეგ, ყველა პროცესი ჯავახიშვილის იდეის წინააღმდეგ წარიმართა: უნივერსიტეტიდან გამოიცალებელს პატარ-პატარა ინსტიტუტები გვეკვევს, სასოფლო, პედაგოგიური, უცხო ენები) და მათ გამოყენებითი ფუნქციები მიანიჭეს. ამით მოსპეს ფუნ-

დღმენტური და გამოყენებითი კვლევების ბუნებრივი კავშირი. შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, რითაც ფუნდამენტური მეცნიერება გამოიყვანეს უნივერსიტეტიდან. შედეგად მივიღეთ მხოლოდ სუსტი სასწავლო ერთეული<sup>1</sup>.

မတော်လှိုင် နောက်ရှိခိုင် ၆၅၁၄ပါ, ကျော်သာ၏။  
စာအာဖ ၁၃ အကျိုးပိုင်နှင့် ဗျာလျှော်၏ စာအာ-  
ဒုလ္လာပြောပိုင်း၊ မျိုးအားပိုင်း၊ နှင့် ရာနွှက်ရှိပိုင်း  
တို့မှာ ဖြစ်ပါသည်။ ဤအားပိုင်း၊ မျိုးအားပိုင်း၊ နှင့်  
ရာနွှက်ရှိပိုင်းတို့မှာ ဖြစ်ပါသည်။

უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების სისტემის ცენტრად, პოლიტიკურ-აქტივისტური კუთხით რჩებოდა. 1978 წელს, ქართული ენის დაცვის შემდეგ, 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ეპიცენტრიც უნივერსიტეტი გახდა.

პარალელურად, საუნივერსიტეტო სის-  
ტემა მთლიანად კორუფციაზე აეგო. 1992  
წელს საზემოდ აღდგენილი ავტონომიაც  
ძირშივე ფიქციად იქცა. ივნის ჯავახიშ-  
ვილის შემდეგ უნივერსიტეტის პირველი  
არჩევული რექტორი, რომ მეტრეველი,  
შევარდნაძის ხელისუფლების ერთ-ერთი  
საყრდენი ძალა გახდა. შექმნილი სტატუს-  
ქო ორივე მხარეს აწყობდა – უნივერსი-  
ტეტის მმართველ წრეებში ხელისუფლება  
ერთგულ ადამიანებს ინარჩუნებდა, ისინი  
კი, სანაცვლოდ – პრესტიჟულ სამეცნიე-  
რო წოდებებსა და შემოსავლიან სამსახუ-  
რებს.

ამიტომაც, 13-წლიანი მმართველობის  
დასასრულს, როინ მეტროველის წინააღ-  
მდევ დაწყებული სტუდენტური კამპანია,  
რომელსაც „კიბრა“ ედგა სათავეში, სინა-  
მდგვილეში პოლიტიკური კამპანია იყო. ვარ-  
დების რევოლუციიდან ორი წლის თავზე  
მეტროველის უნივერსიტეტიდან წასვლამ  
თთქმის ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა,  
როგორც მაგალითად აქარის გათავისუ-  
ფლებად ასლან აბაშიძის რეჟიმისგან. უნი-  
ვერსიტეტის „აღების“ პროცესი განხელა.  
ხელისუფლებას რექტორის თანამდებობა-  
ზე რამდენიმე არასასურველი კადრის მო-  
გრიება დასტირდა.

ୟୁଦ୍ଧିର୍ବଳେଖୁଁ ମିଳନାଫ, ରାତ୍ରି ଉନ୍ନିବେଶିଲୀତ୍ଯେତୁ  
ର୍ଯ୍ୟାଗୋରମିଳି ପିରିବ୍ୟେ କ୍ରିତାବ୍ଦୀ ଦାସାକ୍ଷେ,  
କର୍ମଚାରୀଙ୍କରୁ ପିଲାଗାନ ଗାହାଵିଶୁଭ୍ୟାନ୍ତରେ ଏହା ନ୍ୟୁନ. ଅଥ  
ପରିବାସମି ଦାନିକ୍ଷଣ ମିଳି ପାରିବେଳାନ୍ତିକୁ ମିଳିବା

Մինչեւ սուլիղեցիս աշտոռնմիանց մնովազ-  
նելուցան մի գրու ըրբուրմիս սերացած  
դանցեց աղմօնինձա. Ռուսական լոռտիյո-  
ւանուցիս – րոպիուան նշորիձ զանուաս միյր  
ցամքօմերծուու շրիս – ըրբուրմիս պայլանց է  
միցուանցուու նանուու, Առշաքու գրաքու հա-  
ծարժա. Աս եցուու պայլանցի մուգա կոնսեն-  
սուսու սահու Մերիցուու, դա մեմքա պահու-  
արշուուցիս սածքու մոյր „արհիցուու“ 24-ը  
ըստիու ցածրա.

„უნივერსიტეტში არაფერო იცვლება, თუმცა, მოლოდინი გვაქვს და ჩვენი მოლოდინი დაკავშირებულია ქალაქონ რუსულანთან. პირდაპირ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტი არის დაბლომების ბაზრობა, გათხოვებისათვის შანსი და გარდერობის დემონსტრირების საშუალება“, - ასე აფასებდა სწავლის პერიოდს „რადიო თაგისუფლებასთან“ ინტერვიუში ერთ-ერთი სტუდენტი.

რუსულადნ ლორთქებულანიძეს უნივერსიტეტის სპეციალის სპეციალის ეს სამი „ფუნქცია“ უნდა შეეცვალა. რეფორმის დაწყებიდან ერთი წლის თავზე მისაღები გამოკლები უნივერსიტეტიდან გარეთ გაიტანეს და შეფასებას – „დიპლომების ბაზრობა“, „კორსულული სისტემა“ – უნივერსიტეტზე საუბრისას სულ უფრო იძვიათად იყენებდნენ. ეს რეფორმის ის კომპიონენტი იყო, რომელსაც დღეს განათლების ექსპერტები თითქმის ერთხმად, ყველაზე დადგებით წაბიჯად აფასებენ. თუმცა, ერთიანობაში საუნივერსიტეტო რეფორმა არათანმიმდევრულად და გაუაზრიბლად წარიმართა.

2005 წლის ზაფხულში უნივერსიტეტის 800-მდე თანამშრომლის გათავისუფლების პრაქტიკა გაიცა. განაწყენებული პროექტის მისამართით გამოიყენებოდა რომელთა ნაწილის გაშვებაც – დაბალი კვალიფიკაციისა თუ ასაკის გამო, ობიექტურად იყო საჭირო, რექტორისგან ითხოვდნენ პასუხს და უნივერსიტეტში სიახლისკენ დარღულ პროცესს ცოდნის თეთრი ტაძრის შეურაცხყოფად აფასებდნენ.

განათლებით არქიტექტორობა ლოროფი-  
ფანიძემ, ხისტად დაწყვეტული ცვლილებების  
გამო, უნივერსიტეტის ხელახლა დაპროე-  
ქტება კრისტიან შეძლო. ის აცხადებდა, რომ და-  
პირისპირი პროფესორ-მასწავლებლებ-  
თან თავის დაპლომატიურ გამოცდლებას  
გამოიყენებს. თუმცა, პასუხისმგებლობას  
ვერ გაუძლო. თანამშრომლების გაშვების  
შესახებ ვალდებულება მან განათლების სა-  
მინისტროს გადაადარა. „ის სიები არ არის  
ჩემი ხელმოწერილი. ეს სიები თქვენ ძალიან  
კარგად იცით, საიდანაც არის“, - უთხრა  
მან 2005 წლის ზაფხულში უნივერსიტეტის  
სააქტო დარბაზში შეკრებილ პროფესორ-  
მასწავლებლებს, რომლებიც იმ დარბაზში,  
სადაც მანამდე სამეცნიერო შრომებს სა-  
ჯაროდ კითხულობდნენ, ახლა ერთხმად  
ყვიროდნენ: „მაშინ გადადექი! გადადექი!  
გადადექი!“

ორნლიანი ხმაურიანი მმართველობის  
შემდეგ ლორთქიფანიძის კარიერა სწორედ  
თანამშრომლების მასობრივი შემცირების  
სერიას შეეწირა.

თუკი უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმები ხარგვზებითა და ხმაურით წარიმართა, ამის მიზეზი – პროფესიონალური მასწავლებლთა რადიკალური განწყობისა და ცვლილებების სიხისტის გარდა, რეტირობისთვის არასწორად შერჩეული კადრებიც იყალინ.

განათლებით ოურისტმა გია ხებუამ  
მარტივი საკითხები მარტივად მოაგვარა  
- ფრაგმენტულად მაგრამ მაინც გადა-  
წყდა საპირფარეშოების, განათების, კომ-  
პიუტერებისა და მეტ-ნაკლებად ხელფა-  
სის პრობლემები. თუმცა, ფაულტეტების  
გამსხვილების, პროფესიონალურების  
შემცირების, უნივერსიტეტის სპაზისო  
დაფინანსების მოსპობის, მეცნიერთათვის  
ხარისხის მინიჭების ახალი სქემის შემო-  
ლების პროცესის კიდევ უზრო დიდი დაპი-



ფოთი ირაკ საჩილდევაძე

რისპირებებითა და ხმაურით გაგრძელდა. იმის მაგივრად, რომ მედია უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებების რეალური ანალიზით დაინტერესებულიყო, ურნალისტების ყურადღების ცენტრში აბსურდობდე მისული საუნივერსიტეტო სკანდალები ხდებოდა – ხულიგნობისთვის პროფესორების დაპატიმრება, საქტო დარბაზში პროცესტანტი ლექტორების ღამისთვეა, რექტორის მიერ დახმარებისთვის პატრულის გამოძახება, სასწრაფო დახმარება და გულის შეტევა.

ამ ფონზე საუნივერსიტეტო რეფორმა წინ მიდიოდა, ოლონდ – თავის ნებაზე. პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილის აზრით, უნივერსიტეტი ტრადიციულად ჩრებოდა ნამყვან კვლევით უმაღლეს სასწავლებლად, რაზეც ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების რაოდენობაც მიუთი-

თებდა, მაგრამ უამრავი პრობლემა სამეცნიერო საქმინობას კვლავც უშლიდა ხელს, მათ შორის იყო პროფესორის ხელფასიც.

„ახლაც, პროფესორის ხელფასი რეალურად იმით განისაზღვრება, თუ რამდენ საათ ლექციას წაიკითხავს. მის დატვირთვაში საერთოდ არაა გათვალისწინებული დრო კვლევისთვის და ამ დროს არც უნაზღაურებენ. როდესაც პროფესორს ეუბნებიან, შენი კვლევა არ გვანტერესებს, თუ ბევრ ლექციას წაიკითხავ, მეტ ხელფასს მოგცემ, ბუნებრივია, ყველა მოტივირებულია, მიიღოს მეტი ხელფასი“, – აცხადებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი მარინე ჩიტაშვილი.

პროფესორთა ნაწილი აღიარებდა იმასც, რომ უნივერსიტეტის მთავარი პრობლემა ფინანსური ავტონომია. გადაწყვე-

ტილებები ზევიდან მოდიოდა, თითოეული ცვლილების ინიციატორი განათლების სამინისტრო იყო, მაშინ, როცა უნივერსიტეტის შიგნით აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს უნივერსიტეტის გარდაქნა რადიკალურად განსხვავებული გზებით წარმოედგინათ.

„როდესაც პარლამენტს ერთი ხელის მოსმით შეუძლია მთლიანად შეცვალოს კანონი ისე, რომ საერთო კონცეფცია არ გააზროს, ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტი ავტონომიას ვერ შეინარჩუნებს“, – დასტენს მარინე ჩიტაშვილი.

მაღლ აგრძისული მედიაკამპანიის სამიზნე ხუბუა გახდა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან წიგნების დაკარგვა, ახლობლების თანამდებობებზე დანშვნა, საკუთარი ხელფასის უკანონო გაზრდა – სკანდალების გასაგრძელებლად და რეფორმის გასაგრძელებლად მოსული რექტორი ისევ სკანდალებით წავიდა.


ახალი რექტორი ავტონომიურ უნივერსიტეტში ისევ ხელისუფლებამ მიავლინა. აკადემიური საბჭოს მთავარი ფუნქცია როგორც ხუბუას გაშევების, ისე – კვიტოვილის მოსელის შემთხვევაში, მხოლოდ პროცესის დაკამონება გახდა. საბჭოს წევრებსაც არ აქვთ პასუხი მთავარ კითხვაზე – რატომ აძლევეს გია ხუბუას დიდი სკანდალით წასვლა მაშინ, როცა სექტემბრის ბოლოს მას ვადა ისედაც ეწურებოდა.

ახალი რექტორის მოსელის გამო უნივერსიტეტში მორიგ ცვლილებებს ელიან. ერთადერთი, რაც ამ ცვლილებების შესახებ ზუსტად შეიძლება ითქვას – მოსალოდნელი სიახლე უნივერსიტეტის ავტონომიის გაძლიერება არ იქნება. პირველი, ვისაც დროებით რექტორად დანიშვნის შემდეგ კვიტაშვილი შევდა, პრეზიდენტი იყო. სწორედ საკაშვილისგან ჩაიბარა ახალმა რექტორმა მისია: ეს უნივერსიტეტი მთავარი უნივერსიტეტია და მისა აღდგენა საშვილიშვილო საქმე იქნება. პრეზიდენტის სიტყვები ისევ დავალებასავით ჟღერდა მაშინ, როცა უნივერსიტეტის მომავალზე შეჯერებული წარმოდგენა ჯერ უნივერსიტეტის შიგნითაც არ არსებობს. **¶**

**სტატიაზე მუშაობდნენ:**  
ნათა ახალაშვილი, გორგი ჭეიშვილი

## რეპორტაჟი





# ანალიზი აფხაზეთი

სოხუმი დღეს ისე შორსაა

თბილისისგან, როგორც –

არასდროს.

ოლესია ვართანიანი,

„რადიო თავისუფლება“

სპეციალურად „ლირებალისათვის“

მთავრობის ყოფილი სასახლე. აქ ომი დასრულდა

# რეპორტაჟი



ერთი თაობა უკვე გაიზარდა აფხაზური დროშის ქვეშ



ვლადისკლავ არძინბა გუმისტის ნაპირზე დაკრძალება,  
სადაც ყველაზე მეტი აფხაზი მებრძოლი დაიღუპა



ომის ისტორია ეროვნული მუზეუმების ნაწილია

ფოტოების მთლიანობა ვართონავთ

რუსული საგუშაგო ხომალდი „მურომეცი“ სოხუმის ყურეში წყლისა და სურსათის მოსამარაგებლად ორ კიორაში ერთხელ შედის.

ღუზა რუს ჯარისკაცებს, სადღაც ერთი საათის განმავლობაში, აქვთ ჩაშვებული. შემდეგ, რუსულ სამხედრო-საზღვაო პიმნს დასჭექენ და ფირუზის ფერ ზღვაში შეცურავენ.

ეს, ალბათ, სოხუმში რუსული სამხედრო ყვიფნის ყველაზე ნათელი სურათია.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ რუსული სამხედროების რაოდენობის ზრდა მათ თითქმის არ უგრძენიათ. ქუჩებში აქა-იქ მოსეირნე რუსი მშვიდობის მყოფებულები მათგან არცთუ ისე განსხვავებულმა რუსმა ჯარისკაცებმა შეცვალეს.

უკვე ორი წელია აქ მტკიცედ სჯერათ, რომ აფხაზეთში რუსული სამხედროების ყოფნა, თბილისის მხრიდან თვედაუსხმელობის გარანტიაა.

„როცა ეს მოხდა, ჩვენ პირველად ამოვისუნთქეთ შვებით. აღიარებასთან ერთად მივიღეთ ფარი, რომლის ქვეშ უკვე შეგვიძლია განვითარებაზე ვიზიქროთ.“

ორი წლის წინ, 26 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტის – დიმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარება აქ 17 წლის წინ დაწყებული ბრძოლის დასასრულად აღიქვეს.

ახლა სოხუმში უფრო თავდაჯერებულად საუბრიობენ, რომ საქართველოს შემადგენლობაში არასდროს დაბრუნდებიან და რომ თბილისთან ურთიერ-

თობა მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი შეიძლება, იყოს.

სწორედ ამ მოდელის განვითარებას ცდილობებ სოხუმის ლიდერები თბილისთან ამჟამად არსებულ ერთადერთ მოლაპარაკების მაგიდაზე – უნევის შეხვედრებზე.

მოლაპარაკებათა პირველი რაუნდიდან თითქმის ორი წელი გავიდა, თუმცა, მხარეები ვერცერთ ახალ ხელშეკრულებაზე ვერ შეთანხმდნენ. სიტუაციას რეგიონში სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულება არეგულირებს, რომელსაც „პრიმიტივიზმისა“ და ბუნდოვანი ჩანაწერების გამო საერთაშორისო ორგანიზაციებში ხშირად აკრიტიკებენ.

პოლიტიკოსები, რომლებიც უნევის მოლაპარაკებზე სოხუმს ნარმიად-



„ახალი რაიონი“. სოხუმი



ეშმაკის ბორბალი დაცარიცვლებულ ოჩამჩირეში



ლეგენდარული ტანკი სოფელ ლაპრაში ცოცხალ ძეგლად იქცა



გაგრაში ახვლედიანის სახელობის სტადიონი აფხაზური ფეხბურთის აღმოჩენის მოედნად იქცა

გენერ, აფხაზეთში ყველაზე პოპულარული ჩინოვნიკები ნამდვილად არ არიან. მათი ვიზიტები უენევაში საქართველოს წარმომადგენლებთან შესახვედრად აქ ძალიან ცოტას თუ აინტერესებს.

უენევის შეხვედრუბზე საკუთარ სიტყვას სოხუმის წარმომადგენლები იმით იწყებენ, რომ ოპონენტებს ახალი რეალიტების გაუთვალისწინებლობის გამო კიცხავენ; ხოლო ასრულებენ იმის აღარებით, რომ უენევაში გარკვეულ დათმობებზე წასვლის შემთხვევაში, აფხაზური საზოგადოება ამას არ მიიღებს.

სოხუმში რამდენიმე საათის გატარების შემდეგ ადვილად გასაგები ხდება, თუ რატომ აპელირებენ აფხაზი პოლიტიკოსები საზოგადოებრივ აზრზე.

აფხაზეთში დღეს იშვიათად წააწყდებით ადამიანს, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრება.

ადგილობრივთა მეხსიერებაში ომის მოგონებები ჯერ კიდევ ცოცხალია. ნებისმიერ, თუნდაც სრულიად ყოფით თემაზე საუბარი ნელ–ნელა ომზე მოგონებებში გადაიზრდება და ომის შედეგების განხილვით მთავრდება.

ომი აფხაზეთში თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. ახალგაზრდა თაობა, რომელსაც საომარი მოქმედებები არ ახსოებს, ბლოკადისა და თბილისის მხრიდან მუდმივი მუქარის პირობებში გაიზარდა.

მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ვითარდებოდა, აფხაზეთი საბჭოთაში, 80-იან წლებში ჩარჩა. აქ ცოტა ხნის

ნინ დაიწყო ინტერნეტის განვითარება. საზღვარგარეთ მოგზაურობა კი რჩეულთა ხევდრია.

ამ „ჩამორჩენილობაში“ სოხუმი თბილის ადანაშაულებს. „ქართული ხელისუფლებისა“ და „ქართველი საზოგადოების“ ცნებას იქ იშვიათად ანსცვავებენ.

ანტიქართული განწყობა იმდენად ძლიერია, რომ პოლიტიკოსები მას შიდაცოლიტიკური პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად ეფექტურად იყენებენ.

მაგალითად, იმისთვის, რომ აეხსნა, რატომ არ სურს მთავრობას აფხაზეთში ომამდე მცხოვრები რუსების მასობრივი დაპრუნება, პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ არგუმენტად რუსეთიდან აფხაზეთში რუსული პას-

# რეკორდთაზე



ფოტოების მთლიანობა დაცულია

პორტების მქონე ქართველების სავარაუდო შემოსვლა მოიწველია.

ამ აბდათობამ იმდენად შეაშინა საზოგადოება, რომ ყოველგვარი დისკუსია ამ საკითხზე უმაღლ შეწყდა.

„აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე ამ საკითხზე მსჯელობა, უბრალოდ, შეუძლებელია“, - ხსნის სერგეი შამბა სოხუმის არგუმენტებს აფხაზეთში ქართველების დაბრუნების შესახებ.

როგორც სოხუმის ხელისუფლება აფხადებს, მსგავსი „ქართული“ საკითხები არააქტუალური გახდა და უკვე დიდი ხანია, თბილისელი ჩინოვნიკების განცხადებებით არც კი ინტერესდებიან.

მაქსიმ ლვინჯია, დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, აფხადებს, რომ უკვე წელიწადზე მეტა, რაც ქართულ

ახალ ამბებს თვალს აღარ ადევნებს.

„მე ეს უბრალოდ აღარ მჭირდება, ჩვენ ახლა სხვა პრიორიტეტები გვაძეს“, - აცხადებს იგი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდს, სადაც აფხაზეთთან დაკავშირებით, თბილისის მორიგი საპროტესტო ნოტაა გამოქვეყნებული, ღვინჯია მხოლოდ უურნალისტების ზარის შემდეგ სტუმრობს.

„ახლა მე თვალყურს ვადევნებ იმას, თუ რა ხდება ლათინურ ამერიკაში. არ დაიკერძოთ, მაგრამ იაკობაშვილის სტრატეგიაც კი არ წამიკითხავს. მე ეს უბრალოდ არ მჭირდება,“ - აცხადებს იგი.

ლვინჯია და ზოგიერთი აფხაზი ჩინოვნიკი აცხადებს, რომ თბილისის დღევანდელი პოზიცია მათ, როგორც

აფხაზეთის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ საკუთარი პოზიციის განმტკიცებაში ძალიან ეხმარება.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ თბილისთან მიმართებაში მათ მოლოდინები და შიშები აღარ აქვთ.

სოხუმის ასეთი დამოკიდებულება თბილისს, სავარაუდოდ, ნაკლებად აწყობს. სულ ახლასანს, მდინარე ენგურის ქართულ სანაპიროზე, ხიდზე მდებარე გამშვები პუნქტის სიახლოეს, დიდი მოწრიალე ქართული დროშა აღმართეს.

დროშის გამოჩენამ თავიდან ზოგიერთი აფხაზი გააღიზიანა, მერე ხელი ჩაიქნიეს: „ჩვენ რა, ისინი ხომ ასე საზღვარს ოფიციალურად ამტკიცებენ.“ □

# ახიზინალები ქორნია



ნინია კავაბაძე

ერთხელ „რადიო თავისუფლების“ კორეპონდენტმა, ნიკო ნერგაძემ თავის ბლოგში, მისთვის დამახასიათებელი ენა-მახვილობით დაწერა: „ამ ბლოგის შუა ვერწერაში ვიყვავი, როგორაც „კურიერს“, ვუყურე. პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო ინფორმაციის საოცარი ნაკლებობა მტკვარში გადამხტარი ადამიანების შესახებ.“

ეს უკვე ტრადიციაა, „კურიერის“ პირველი ბლოგი საესესა ჰორორ-ისტორიებით: შეყვარებული გოგონა მტკვარში გადახტა, ფისიქური აშლილობის მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი ფანჯრიდან გადმოხტა (ცხედარს ვერ მიუსწრო გადამღებმა ჯგუფმა და ამიტომ ახლო ხედით სისხლის გუბეს გვაჩვენებს), საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში კაცმა მეორე კაცი მოყლა - ინტერვიუ მოკლელის ახლობელთან, პირდაპირი ჩართვა პანაშვიდიდან ქართული დატირების ხმოვან ფონზე, რას ამბობენ მეზობლები, ისევ სისხლის გუბე, გარდაცვლილის ქორნილის ფოტოები... ასევე, ხანშიმესული ქალბატონი სექსუალურმა მანიაქმა გააუპატიურა, სიძემ სიბამრი მოკლა, სიმარმა სიძე და ა.შ. ამ ჰორორისგან ჩვენს მკითხველს დავიცავ და „კურიერის“ ყურებას ვაკმარებ.

ქართული სატელევიზიო მედიის ფინანსური ტრანსპარენტულობის პირობებში რომელია გავიგოთ, რომელ სახელმწიფო თუ ეკრძო სტრუქტურას ეკუთვნის „რუსთავი 2“, მაგრამ ერთი ცხადა - შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გახსნილი კრიმინალური საქმეების ვიზუალიზაციაზე უბადლოდ ზრუნავს.

თუკი სხვადასხვა დასავლეური ტელევიზიების სტანდარტებს გადავხედავთ, იფიქრებთ, რომ „კურიერი“ სწორედ მათ საპირისპირო სტანდარტს იყენებს. მაგალითად, BBC-ს პროდიუსერთა სახელმძღვანელოში კონკრეტულად არის მითითებუ-

ლი: „გარკვეული სიფრთხილე გვმართებს სხვადასხვა ხმების (ტირილი, კივილი და ა.შ.) ტელევიზიოთ ან რადიოთი გადაცემის დროს“. მათი სტანდარტის მიხედვით, მგლოვიარე პიროვნების ეკრანზე ჩვენება და მასთან ინტერვიუც აკრძალულია.

„რუსთავი 2“-ის პროდიუსერები განმარტავენ, რომ მსგავსი სოუშეტები „კარგად იყიდება“, ანუ მაღალი რეიტინგი აქვს და მათი ჩვენების ერთადერთი თუ არა, ერთეული მიზეზიც სწორედ ეს არის.

აქ არის ლოგიკა. გილოოტინაზე სიკვდი-

ლით დასჯის საცეკვად, როგორც წესი, ბევრი ხალხი იყრიდა ხოლმე თავს. მაყურებელთა დიდ ნაწილს უყვარს მძაფრსიუ-უეტიანი ფილმები, სადაც ბევრი სისხლი და სიკვდილია (თუნდაც, ყოველგვარი იღეური დატვირთვის გარეშე). ქუჩაშიც შევამჩნევთ ხოლმე, როგორი ცნობის-მოყვარეობით უყურებს გამვლელი ძირს დაგდებულ ცოცხალ-მკედარ ადამიანს, ან ავარიის შედეგს... პროდიუსერთა თქმით, სწორედ ასეთი ფრაგმენტები იყიდება ტელევიზიოთ კარგად.



# გედიაპრიტიკა

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ფსიქოლოგი გაგა ნიუარაძე ამბობს: „ეს ამბები „კარგად იყოდება“ განვითარებულ ქვეყნებში, დიდი ბაზრითა და თავისიუფალი მედიის ხანგრძლივი ტრადიციით. რა იყოდება კარგად ჩვენთან, ადევატურად გამოკვლეული არ არის უბრალოდ, დასაკლური მოდელებია გადმოლებული.

განვითარებულ ქვეყნებში კრიმინალისა და კატასტროფების შესახებ ამბების პოპულარულობას ასე ხსნან - ცხოვრების რეგლამენტირებულობისა და უსაფრთხოების გამო, სადაც მოულოდნელობის შესაძლებლობა მინიჭუამდეა დაყვინილი, ყოველდღიურობა მოსაწყინო ხდება. ადამიანს კი სჭირდება ადრენალინი. ამიტომ ის უყურებს ტრილერებს, ვამპირიადებს და სხვა „სათამაშო შიშის“ მომენტებს. რეალური კრიმინალი და კატასტროფები, რომელიც ამ სანახაობის ნაწილია, ძი-

საინტერესოა, რა გავლენას ახდენს მსგავსი სიუჟეტები მაყურებელზე? რა არის ამ ისტორიების ტელევიზიონ წარმოდგენის მიზანი?

„ხდება საზოგადოების ყურადღებისა გადატანა სასიცოცხლო პრობლემებიდან სხვა მიმართულებით. აქ იგივე ეფექტია, რაც ერანზე ნებისმიერი ძალადობისა და მემონსტრირებისას: წუთიერ იმპულსებს (აგრესის, თვითშეფასების და ა.შ.) აკმაყოფილებს, მაგრამ შემდგომში იგივე მიზნის მისაღწევად სულ მეტი და მეტი ძალადობაა საჭირო - გავიხსენოთ „რემბოს“ სერიიდან სერიისაც დახოცილთა გეომეტრიული პროგრესით ზრდადი რაოდენობა. ასე რომ, არ გამიკვირდება, თუ ბებიებს გაუპატიურებული ბაბუები დაემატება, ხოლო სადმე გზისპირა სასაუზმის სამზარეულოში დაკარგული მიმტანის ჯიგარს აღმოჩენენ...“ - ამბობს ფსიქოლოგი გაგა

ხედით, რომ იფიქრებთ ოპერატორს ზედ სხეულზე უდევს კამერა. გვიჩვენებენ დაზარალებულს, რომელსაც ყველაზე მძიმე ხარისხის დამწერობა აქვს მიღებული.

„ჩვენთან ეთიკის ნორმები ძირითადად ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების წრეზე ვრცელდება,“ - ამბობს გაგა ნიუარაძე. იმ შემთხვევაში კი, თუ დაზარალებულთა შერის ტელევიზიონ თანამშრომელთა ახლობელი არ აღმოჩნდება, ანუ როცა საჯარო საჯარო ეთიკის „საჯარო ეთიკის“ საჯარო ეთიკის შეიძლება, თქვა და აჩვენო. ახლა ვიმყოფებთ ახალი „საჯარო ეთიკის“ ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც „ცდისა და შეცდომის მეთოდით“ მიმდინარეობს - რაც გაგივა - გაგივა, რაც არა - არა. „ეთიკურ წნებს“ კი ორი ვექტორი აქვს, ერთს განასახიერებენ „მართლმადიდებელი მშობლები“, მეორეს კი - „საიდუმლო სირობა“. ჰოდა, ვართ ასე... თუმცა,

## ■ საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ცეცხლოვანი ფონისა და მჭახე მუსიკის თანხლებით, თავში გვიდებს აზრს, რომ კიდევ კარგად ვართ - მეზობლებს მასობრივად არ ვხოცავთ და ბებიებს არ ვაუპატიურებთ...

რითადად, შორეულ და უცხო გარემოში ხდება, მეგაპოლისის ჯურიმულებში ან გადაკარგულ ქვეყნებში. ამ ისტორიებში დალუპული ხალხი დაახლოებით ისევე აღიქმება, როგორც დეტექტივის დასაწყისში აღმოჩენილი ამოუცნობი გვამი. მაგრამ თუ კატასტროფა უშუალოდ მედია-აუდიტორიას, ანუ ჩემს ხალხს შეეხო, ან ამის საფრთხე გაჩნდა, ნიუარაძე სენსაციურობა მკვეთრად იყვანებს, ტრინი საქმიანია და შეკავებულად ოპტიმისტური. ამის კარგი მაგალითია 11 სექტემბერი.“

ჩვენში მდგომარეობა სხვაგარია - უმუშევრობა, ფასების ზრდა, წაგებული ომი, დაკარგული ტერიტორიები, უსახლეაროდ დარჩენილი ასი ათასობით ადამიანი - თითქოს საქმარისი თემებია მოსაწყინი კეთილდღეობის განქარვებისთვის. საინფორმაციო გამოშვების წამყვანი კი ცეცხლოვანი ფონისა და მჭახე მუსიკის თანხლებით, თავში გვიდებს აზრს, რომ კიდევ კარგად ვართ - მეზობლებს მასობრივად არ ვხოცავთ და ბებიებს არ ვაუპატიურებთ...

ნიუარაძე.

ზაფხულის განმავლობაში „კურიერის“ ეთერი სავსე იყო სხვადასხვა კრიმინალური, ტრაგიკული, ფატალური ისტორიებით. მაგალითისათვის, 29 აგვისტოს 6 საათიანი „კურიერი“ დაიწყო გომი-საჩხერის საგზაო მონაკეთზე მომზდარი ავტოკატასტროფით, რომელსაც ერთი ქალაგონის სიცოცხლე ემსხვერპლა. „კურიერის“ გადამღებმა ჯგუფმა დაზარალებულები საავადმყოფიში გადაიღო - შეცვიდდნენ თითქმის ყველა მათგანთან პალატაში, ახლო ხედით გვაჩვენეს ქრილობები, ვენაში ღრმად შესული ნემსი, ჩაწერეს ინტერვიუ ავტოკატასტროფიში დამტკრიულ ქალაგატონთან (პაციენტი წევს, კამერა მის ზედგებს იღებს, ქალაგატონი გაჭირვებით საუბრობს). მეორე სიუჟეტი რამდენიმე დღის წინ ტყიბულის მაღარიში აფეთქების შედეგად დაზარალებული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობას ქება. წამყვანის ტექსტის გამოსახულება ფარავს - ერთმანეთის მონაცემებით დაშავებულთა ქრილობები მოჩანს, იმდენად ახლო

რაღაც შედეგები თითქოს არის - მაგალითად, არა მონია, რომ ვინმეს გაუჩნდეს „მოდელირებული ქრონიკის“ განმეორების სურვილი.“

საზოგადოებამ არ მიიღო რეალობის სიმულაცია (მოდელირებული ქრონიკა), მაგრამ იღებს რეალურ ისტორიებს, რომელიც წელა და ეფექტურად, ყოველდღიურად შემოძის ყველა ჩვენგანის სახლში, ამახინჯებს ჩვენს ფსიქიას და ყოველდღიურად გვიმეორებს: გაუძელოთ შიმშილს, უმუშევრობას, ავადმყოფობას!..

ხვალინდელი „კურიერის“ ეთერიც, აღბათ, კრიმინალური სანახაობით დაიწყება. ამ დროს კი თემები, რომლის ცოდნაც საზოგადოებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია (იცვლება ქვეყნის კონსტიტუცია, პოლიციის ძალით დროებითი საცხოვრებლებიდან გამოყარეს დენინილები, პოლიციის ძალით აყარეს გარემოვაჭრები, ყოველდღიურად იზრდება ფასები პროდუქტებზე), „მეორე ბლოკში“ გადავა, ან სანთორმაციო გამოშვებიდან საერთოდ გაქრება. □

# ოპერა, ჩორბას უცისანეაობა

ვერდის „რიგოლეტი“ – ახალი პროექტი ძველი ვარსკვლავებისათვის, ნინო სურგულაძის თანხლებით.

## დავით ბუხრიკიძე

4 და 5 სექტემბერს „ევროვიზიაშ“ და პიო, საოცრებავ, „რუსთავი 2“-მა მართლაც უცნაური საღამო აჩუქეს მუსიკის მოყვარულებს. ქართული ტელეკომპანიები არა-სოდეს გადასცემდნენ „ოპერა-ლაიფს“ (მა-გალითად, გასულ წელს, როცა დეკემბერში „ლა სკალას“ სეზონი „კარმენთ“ გაიხსნა, სადაც მთავარ პარტიას ანიტა რაჭელოშვილი მღეროდა, სიუჟეტი ტელეეთერით მხოლოდ მეორე დღეს გავიდა) განსხვავებით სპორტული და კონტაქტული სანახაობებისგან, მაგრამ სექტემბრის „რიგოლეტოს“ პირდაპირი ეთერი იტალიის ქალაქ მანტოვადან ნამდვილდ დიდხანს ემახსოვრებათ მელომანებს.

ეს არის ცნობილი იტალიელი პროდიუსერის, ანდრეა ანდრემანის მორიგი ესთეტიკური „ახიორება“, რომელიც პუბლიკის კორასთან ახალი ტექნოლოგიებით და უწეველო ფორმით დაახლოებას ემსახურება. გემოვნებიანი მელომანი და გამოცდილი პროდიუსერი უკვე რამდენიმე წელია, პოპულარული სერიალით "LiveTelevision Films", ცდილობს, მაყურებელი თუ მსმენელი უშალიდ ახერის მოქმედების ეპიცენტრში გადაიყვანოს; ანუ ოპერისგან სატელევიზიო სანახაობა შექმნას.

უკვე განხორციელდა ამგვარი „ლაიფ-სა-

ოპერო“ პროექტები – „ტრავიატა“, „ტოსკა“ და „ბოპერა“. რადგან ვერდის „რიგოლეტოს“ მოქმედება XVI საუკუნის მანტოვაში მიმდინარეობს, პუბლიკას ამ ფილმით შეუძლია, ქალაქის შესასუუნოვანი არქიტექტურით, დარბაზებით, ატმოსფეროთ და „ცოცხალი“ დეკორაციით დატებეს. ოპერა ორი დღის განმავალობაში 128 ქვეყნაში გადაიცემოდა და მათ შორის, საქართველოშიც.

საქართველოს ჩართვა ამ სატელევიზიო პროექტში, შესაძლოა, ახალგაზრდა და უკვე საკამაოდ წარმატებული მეცო-სოპრანოს, ნინო სურგულაძის სახელს უკავშირდებოდეს, რომელიც „რიგოლეტოში“ მადალენას ეპიზოდურ როლს ასრულებს. ტოტალურ ვარსკვლავურ გარემოში ეს ფრიად საპატიო ამბავია, რადგან რიგოლეტოს პარტიას „ხმადაბოხებული“, სახელოვანი პლასიდო დომინგო ასრულებს, რომელმაც პერცოგის უდარდელი, ურთულესი და ქარაფშუტა პარტია კუზიან და კომპლექსებით დახუნდლული მასხარის ტრაგიკულ პარტიაზე გაცვალა. სხვა საკითხია ხმის ცვლილების შემდეგ ტემპერი და ხარისხი.

პლუს ასაკოვანი, მუდამ ქარიზმატული რუსერო რაიმონდი (გავიხსნოთ თუნდაც სახელოვანი ბრიტანელის, ჯოზეფ ლოუზის

„დონ ჯოვანი“ და ესპანელი რეჟისორის ფრანჩესკო როზის „კარმენი“), რომელიც ბანდიტ და კაცისმეცვლელ სპარაფუჩილეს მღერის და ამომავალი ვარსკვლავი — იტალიელი ტენორი ჯანფრანკო მონტრე, რომლისთვის მანტოვას პერცოგი შესანიშნავა არტისტული რეკლამაა. თუმცა, არც თითქმის უცინბი ლირიკული სოპრანოს, იულია ნოვიკოვას დავინცება შეიძლება, რომლის ქერათმიანი და ნაზად განეწილი ჯილდა ამ პარტიის საუკეთესო შემსრულებლის, შეუდარებელი ედიტა გრუბეროვას ფერმერთალი ემანაციაა.


სარეკლამოდ მჟღერი სახელები ამით არ ამონტურება. „რიგოლეტოს“ რეჟისორია მარკო ბელოკიო, შესანიშნავი კინორეჟისორი და თავის დროზე, 60-70-იან წლებში იტალიურ კინოში ნამდვილი მეამბოხე. უცნაურ შექერერას და კამერის მოძრაობას სახელოვანი ოპერატორი, „ოსკარისანი“ ვიტორიო სტორარო თსტატობით უძღვება. ხოლო უზილავ სადირიჟორო პულტს ზუბინ მეტა ისეთი ვნებით, სიმსუყით და დრამატიზმით განაცხადს, თითქოს ბრამის ან ბეთოვენის იმუშონიებს დირიჟორობას.

და მანც, ანდერემანის ამ პროექტში არის რაღაც ხელოვნური და სამუზეუმო, რაც ხელს გიშლით პერსონაჟებთან მომღერლების იღენტიფიკირებაში. ისევ რიგორიც დამღლელია კამერის გაუთავებელი მოძრაობა, რაც მუსიკის კონცენტრაციაში ნამდვილად არ გქმარებათ. ვერდის მუსიკის დრამატიზმი და მოქმედების შინაგანი დინამიკა აშერად ალემატება თვალსაჩინო და ცუდად ნაქარგ დეკორაციულობას...

სადაც „რიგოლეტოს“ კინოს რითომაზეა საუბარი, თვალსაჩინო მაგალითად მაინც ფრანგი რეჟისორის, უან-პიერ პონელის 80-იან წლებში გადაღებული „რიგოლეტო“ უნდა მივიჩნიოთ (ლურნან პავაროტისა და ედიტა გრუბეროვას მონაწილეობით). თავისი გამომსახველობით, გემოვნებითა და მონტაჟით მისი „რიგოლეტო“ ნამდვილი კინოა და არა - სამუზეუმო-სატელევიზიო სანახაობა. ■



# ხველიძე, ლასა მიხეილი



სანდრო ნავერიანი

ერთ ებრაელ ფეხბურთის მცოდნებს 8 სექტემბერს პეტერბურგის შემასტების დროს მეტად რა მოგეწონათ ისრაელთა თამაშში?"

"საიოცრად კარგად და სწორად გაჰყავდათ დრო. ფეხბურთის ჭეშმარიტად დიდი ტაქტიკოსთა..." – ჩაილმა და მეტი აღრაფერი უთქვამს.

ძალიან საჭირო რომ იყოს, ამ კაცის გვარ-სახელსაც დავწერდი, მაგრამ რა აზრი აქვს! ამ კაცმა სიმართლე თქვა – ერთადერთი, რაც ისრაელმა შვიდ სექტემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე გააკეთა, დროის გაყვანა იყო.

შვიდში ჩემი შვილი პირველად წავიყვანე სტადიონზე. ფეხბურთელი თუ არა, სოკერის გულშემატებისა მაინც გამოვიდეს! – ვიფიქრე და ტრიბუნისკენ გავაქანე. ორი წლისაა. ცოტა მეშინოდა, იმ ღრიანცელში სპაზმი არ დაწყებოდა, მაგრამ პირველი რვაცას ისე ენერგიულად აჰყავა, მეც გადამიბირა.

შეხვედრა ვერაფერი სანახაობა გამოდგა, მაგრამ კარგი ნალდად ეთქმოდა. ალარც მახსოვოს, ბოლოს როდის იყო, როცა საქართველოს ნაკრების თამაშის დროს მარტო მეტოქის კარში ველოდი გოლს და საკუთარზე არც ვფიქრობდი. ეს ნალდად კარგი იყო და მაგარი.

ასე დაიწყო ქეცბაიამ – დაცვას მიხედა. დემორალიზებული და განადგურებული გუნდის თავიდან აწყობა საიდანმე უნდა დაიწყო, საიდანაც გინდა. ქეცბაიამ დაცვიდან დაიწყო და სწორადაც მოიქცა – ჩვენ ვერ გავიტანოთ? ვერც ისინი გაითანენ და გულშემატებისა, სულ მცირე, ნაგებას ააცილებ თავიდან.

დაცვის ხაზი ძალიან მაგრად იდგა. ისრაელის ნაკრები თავის ბენაიუნიანად, რომელსაც დაახლოებით ისეთივე მისია აკისრია, როგორიც მოსეს – თავის დროზე, ბურთსაც ვერ ამუშავებდა წესიერად. ასათიანმა დაგლიჯა! ერთი ძალიან უმნიშვნელო შეცდომაც კი არ დაუშეია. მაგარი იყო ხიზანიშვილი. იმაზე მაგარი, ვიდრე მშობლიური ცენტრდეფის პოზიციაზე. ერთი სიტყვით, დაცვის ხაზი თავის საყრდენიანად საქმაოდ ძლიერი გვყავს იმისთვის, რომ ხორვატების შეტევებს გავუძლოთ. მაგრამ ჯერ მაინც ძალიან შორს ვართ ფეხბურთისაგან.

შვიდ სექტემბერს, ყველა ფეხბურთელმა, რომელიც მინდორზე იყო, პირველი-დან 90-ე წუთამდე ყველაფერი გააკეთა, რომ შეხვედრა მოეგო და გოლი არ გაეჭვა. ამ ფეხბურთელებით მეტის მიღწევა



ძალიან რთულია, თან – ასე მოკლე დროში. დაცვის ხაზიან შედარებით სუსტად ითამაშა ნახევარდაცვამ. ბოლომდე იბრძოდნენ, მაგრამ ის, რაც მათი საქმეა – ბურთის განაწილება, დაჭერა, ფორვარდებისთვის მიწოდება – ვერ შეასრულეს. ალბათ, ეს იყო იმის მიზანი, რომ მეორე ტამში ასათიანი და ამისულაშვილი პირდაპირ ფორვარდებისკენ ცდილობდნენ ბურთის გაგზავნას, რაც ბევრმა ბურთის მოშორებად ჩათვალა.

ვერც ფორვარდებმა ივარგეს, დვალიშვილმა თითქმის ყველა პირველი ბურთი ნაავი. გაქმნდა საგოლე მომენტიც, რომელიც ვერ გამოვიყენეთ. თუმცა, ისიც ისრაელთა მეერარის შეცდომის შედეგად შეიქმნა. ერთი სიტყვით, ვერ მოვიგეთ, მაგრამ ქეცბაიამ ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა შეძლო – დაცვის ხაზი სწორად და კარგად ათამაშა.

მომდევნო შეხვედრა მალტასთან გვექნება ოქტომბერში. გასაგება, რომ მალტასთან ყველა მოგებას ელოდება. ეს ასეც მოხდება, ალბათ და ჩვენ მნიშვნელოვან სამ ქულას მოვიპოვებთ, მაგრამ ამ შეხვედრის მნიშვნელობა მხოლოდ მისგან მიღებული 3 ქულით არ იწურება – აქ უნდა გაისხნას თამაში, ფორვარდებმა გოლები უნდა გაიტანონ, პრაქტიკაში უნდა დარწმუნდნენ, რომ ვარჯიშები შედეგს იძლევა. ამ დროისთვის ალბათ გამოჯანმრთელდებიან ყენია და კანკავა, რომლებიც ძალიან აკლია ჩვენ გუნდს. ორივეს შეუძლია ბურთის თრევა, თამაშის გაშლა, აქვთ ლიდერის თვისებები და შეუძლიათ ზუსტ მომენტში ზუსტი გადაცემის გაკეთება.

ოქტომბერი მალე დადგება, აღარც სიცხე იქნება, ამოვისუნთქავთ და ყველაფერს საკუთარი თვალით ვნახავთ, მანამდე კი worldsport.ge-ს ერთ-ერთი ფორუმელი ქართველ გულშემატებივარს გვთავაზობს, იმ ენებზე ვისწავლოთ დედის გინება, რომელ ნაკრებებთანაც მოგვიწევს თამაში და მათ მშობლიურ ენაზე ვაგინოთ, უფრო დიდ გავლენას მოვახდენთო.

ფეხბურთის თამაშს, ადრე თუ გვიან, ნალდად დავიწყებთ, მაგრამ გულშემატებივისთვის ყოველთვის გამოჩენდება მოედანზე ერთი-ორი „პიდარასტი სუდია“.

კარგად ბრძანდებოდეთ! ☺

# ისევ ჯალი, ისევ ფასხაჩითაცი, ისევ თავისუფლება



გიორგი აზვლედიანი

სიმართლე ითქვას და, ზოგჯერ ეს გვარიანად მოსაწყენია: იმ უცნობი თუ ოდნავ ნაცნობი ქალების ამბავი ინგლისურ ფეხბურთს რომ სდევს თან. მოგეხსენებათ, იქაური გაზიერების ამბავი, თუნდ მეფე ერეკლე იყავ, ანდა მისი მსაჯული, თუ სადმე რამეზე წაგასწრეს, არ დაგინდობენ. მე შენ გეტყვი და, შეეშინდებათ, ან ხათრი აქვთ, ანდა რამე სხვა.

თურმე ნუ იტყვით და, დემოკრატია ეგა ყოფილა, რომ თუკი რაიმე ამბავს გაიგებ, სახალხოდ გამოაცხადო. ყოველ შემთხვევში, იქ ეგრე ჰეგინიათ, თორემ დემოკრატიული ნახევარ კორეასაც ჰქენა და რას აღარ.

მოკლედ, ჩაიჭრენ კაცს რამეზე სრულიად ბულვარული, სრულიად დაუნდობელი გაზიერები, ანდა - სრულიად სოლიდურებიც და დიდი-დიდი საქმე სასამართლომდე მიუვიდეთ.

კიდეც უხარიათ, თუ სასამართლოში განწვევა-ინვენი კიდეც, ვინც თავის სიმართლეში და გაზიერის ტყუილში დარწმუნებულია.

ოლონდაც, ეს არაფერი. წინა კეირაში, როცა წამოქაჩული ინგლისის ნაკრები კვლავაც ცდილობდა თავისი პრესტიუის ალდგენას და ამ მხრით, პირველ ნაბიჯებსა დგამდა, ტაბლონიდმა კვლავ გამოისროლა მორიგი ფეხბურთელისა და მორიგი გოგოშეას ამბავი.

ამჯერად გვერდზე მაცქირალი ქმარი გამოდგა თვით უეინ რუნი, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი.

საბედნიეროდ, რუნის მთლად მეგობრის ცოლთან არ გაუბამს რომანი, როგორც ეს ჯონ ტერის გამოუძეკარავდა ამ გაზაფხულზე, არამედ ცოლის ფეხმძიმობის უამს მთელს ათასორას ფუნტად მეძავი დაუქირავნია და...ცხადია, რომ მეძავებს ბურას არ ეთამაშებიან.

უნდა ითქვას, რომ ამბავი ყოველთვის ერთიდაიგივეა: ირკვევა, რომ ფეხბურთელებს ცოლთაგან განზე გაურბით თვალი. თუმცა, არ მონია, რომ იმაზე მეტად გაურბოდეთ, არაფეხბურთელებს რომ გაურბით.

მედიისთვის კარგია, თუ ამგვარი სკანდალური სტატიების გმირი ცნობილი ფეხბურთელია, თუმცა, იმასაც არა უშავს ხოლმე, რომ არცთუ ცნობილი იყოს, თუ კარგი თავგადასავლება აქვს, უფრო ცნობილიც შეიქნება და ეგაა.

რუნის ამბავს კი, ერთი შეხედვით, ჩვეული გაგრძელება მოჰყვა. გაკიცხვა და ასე შემდეგ. თვით მის მეტორს, სერ ალექს ფერგიუსონსაც კი წაუხდა გუნება: ბიჭს მანჩესტერ იუნაიტედის კაპიტანად ვამზადებდი და რახან ასეთი ოხრობა



უეინ რუნი

ჩაიდინა, ძალიან მწყინს, კაპიტანი ყველეფერში სამაგალითო უნდა იყოსო.

მოკლედ, სერ ალექსმა რუნის გაკაპიტანებაზე ხელი აიღო. ოლონდაც, აგერ მე ვარ და აგერ თქვენ, წელინადი მიმიცია და რუნი კაპიტანი იქნება.

ჯონ ტერის ხომ თავისი უგანი რომანი ნაკრების კაპიტნის სამეცაურად დაუჯდა, ჰოდა, ახლა - რუნისაც. ოლონდ ამ ჯერზე სანტერესო იყო, რომ ინგლისის ნაკრების მეწევერ ფაბიო კაპელლის რუნის გაკიცხვა არ დაუწყია: პირდაპირა თქვა, არ მაინტერესებს ვისთან წეს წემი ფეხბურთელი, რუნი მშვენიერ ფორმაშია და აუცილებლად ვათამაშებო.

ოდესლაც ტერის კაპიტნობიდან გადაყენებას მთელი ინგლისი პირდაპირ ეთერში ადერნებდა თვალს. კაპელლის ოფისის კართან მიხორხლილი კამერები, მორბენალი სტრიქონები და ასე შემდეგ.

ჩანს, კაპელლი გვარიანად დაიღალა ამგვარი მორალური გაკიცხებით და დაატყო, რომ მის ნაკრებში ყოველთვის მრავლად იქნებიან მილიონერი ბიჭები, რომლებიც ცოლებს მიაძნებენ და საეშმაკოდ გაიპარებიან. ალბათ, ისიც დაატყო კაპელლომ, რომ თუ ოდნავ მანც აყევი ინგლისურ პრესას, შეიძლება, შენი საქმის მართვა მეტად გაგიჭირდეს.

პრესა კი თავისუფლია, თავისუფალი და თავისუფალზე თავისუფალი. ბევრსა სტკენს, ბევრსა სწყენს, და თან ისეთებსაც, რომ ფეხბურთელი მათთან ანგელოზად მოგეჩვენება. მაგრამ, აი, ეგეთად და მიდი, ჰა! ინგლისია, ის კი არა. რა ჰქვია მისა. ჰო, ვინც არი.

უეინ რუნისთვის კი მდგრინი ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია კოლინთან გაიმართლოს თავი. კოლინი მისი ცოლია. ოჳ, ოჳ, ოჳ-ოჳ, თქვენ არ იცნობთ კოლინს! █

## "ოსვანი ვსპესით" საჭარბელოს ბაზარი



კახა თოლორდავა

არ ვიცი, იცით თუ არა, მაგრამ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილი სამარშრუტო ტაქსებით და ავტობუსებით გადაადგილდება ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში. ერთ უცნაურ რამესაც გეტყვით: თბილისის ავტო-სადგურებში უ ც ხ ო ე ლ ო ტურისტების ისეთ რაოდენობას გადააწყდებით, რომ არა ზურგზემოგდებული მძიმე ჩანთები, „რედისონში“ ან „ქორთიარდ მარიოტში“ გეგონებათ თავი.

აჲ, უცხოელი ტურისტები თბილისის ავტოსადგურებში! რა სანახაობა! დაბნეულები, გაუბედურებულები, დაღლილები, ოფლიანები, უაზროდ მომლიმრები; მიდი-მოდიან, გაუგებარ შეკითხვებს სვამენ, მერე კი, თუ გაუმართლათ და თავანთი მანქანა ან ავტობუსი მოძებნეს, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანები არიან... თუმცა, სულ ცოტა ხნით.

ამ დროს უმრავლესობამ ჯერ კიდევ არ იცის, იმ მანქანებში რა ელით. ალბათ, სწორედ ასეთი მოულოდნელი აღმოჩენის შედეგი იყო სტოკურად ნატანჯი ღიმილით წარმოთქმული ფრაზა, - „ოსვენციმ-ექსპრესი“, ერთ-ერთ უცხოელ ტურისტს რომ წამოცდა მას შემდეგ, რაც იმ ავტობუსში შეიხდა, რომლითაც ის საქართველოს რიმელიდაც კუთხებში უნდა მოხვედრილიყო. ვერ გავამტყუნებ. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, ისკარ შინდლერს თბილისის ავტოსადგურების სამარშრუტო ტაქსებსა და ავტობუსებში ჩაჭერილი მგზავრები რომ ენახა, ყველა საშუალებას იხმარდა ამ მანქანებისთვის შლანგიდან წყლის ჭავლი რომ მიეშვა მათთვის ტანჯვის შესამსუბუქებლად. კარგი კაცი იყო შინდლერი!

ისეთი პაპანაქება იდგა, რომ ვიღაც ქალს გულიც კი წაუგიდა. რამდენიმე წუთით ადრე, ფაშაშა მოლარისგან ბილეთები ვიყიდე. ფენვან ხაჭაპურს მიირთმევდა. ჩემი მისვლა წამდვილად არ ესიამოვნა. ჭამაში ხელი შევუშალე. სანამ ბილეთს მიწერდა, შეეცადა, უზარმაზარი ხაჭაპური ძალივით პირში გაეჩერებინა, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა - დედაშვილისას, ერთი, ეს დამიჭირე - მთხოვა და ის ქონიანი ხაჭაპური მე მომაჩინა. სამარშრუტოს მძლოლმა ეჭვით დახედა ჩვენს გაქონილ ბილეთებს, მაგრამ არაფერი უთქვამს. შეივსება და წავალთო, - მხოლოდ ეს გვითხრა; მერე კი მანქანიდან გადავიდა, მეორე მანქანში გადაჯდა და სადღაც წავიდა. ჩვენი მანქანა შიგ მზის გულზე იყო გაჩერებული. რუსული „პოპსა“ მთელ ხმაზე იყო ჩართული. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა, ბარგით და ბაგშებით დატვირთულები, გახვითქულები, დაძაბულები. კაბინაში ისეთი მძიმე სუნი იდგა, მეგონა, მეც გული წამივა-მეორი. მანქანიდან გადასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც მერე იმ სუნს თავიდან უნდა შეჩეროდი.



დიდუბის ავტოსადგური

ფოტო: თბილი საქართველო

ლამის ყოველ ხუთ წუთში ერთხელ, მანქანაში ჩვენზე არანაკლებ განამებული ქუჩის გამყიდველის სახე შემოეჩრებოდა ხოლმე, - ხან მარაოებს გვთავაზობდნენ, ხან კი - საჭმელს და გამაგრილებელ სასმელებს. მარაოს ყიდვისა თავიც კი არ გვქონდა, რადგანაც იმ დროისათვის უკვე ისეთი სველები ვიყავით ყველა, რომ იმ მარაოების ქნევა-ქნევაში მხოლოდ ერთმანეთს თუ გავრცელდით. დაიცა, იმის თქმა დამავიწყდა, კიდევ რატომ არა აქვს აზრი გარეთ, ჰაერზე გასვლას. იმიტომ, რომ ამ შემთხვევებში უნდა წამოდგე და სავარძელზე მიკრულმა სველმა შარვალმა ძალიან, ძალიან უცანური ხმა უნდა გამოსცეს. მერე კი, მიღი და ულიმე დანარჩენ მგზავრებს იმის იმედით, რომ გაგიგბენ და არ იფიქრებენ, რომ ეს შენ იყავი! ერთს კი არ დაგიმალავთ, მძლოლი დროზე დაბრუნდა, მაგრამ მანქანაში რომ შემოიხედა და ჩვენ დაგვინახა, ისეთი სადისტური კმაყოფილებით გამოცრა „ხარაშო“, რომ კინაღამ გადაიფიქრე ქალაქიდან გასვლა.


რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, სულ მაღა სრულიად საქართველო მფრინავი ობიექტების ასაფრენ-დასაჯდომ სივრცედ იქცევა. მარტო ეს არა. ჩემთვის ისიცაა ცნობილი, რომ სულ მაღა საქართველოს ტერიტორია რკინიგზის ახალი ხაზებითაც გაიხაზ-გამოიხაზება. ჩამოვლენ და ჩამოვლენ ტურისტების! დარწმუნებულები ვართ, რომ ყველა დაქირავებული „ჯიპით“ ან მატარებლით მოისურვებს ქვეყნის დათვალიერებას? ჯანდაბას ჩვენი თავი, მე ჩამოსულებზე ვნერვიულობ! მოკლედ, მგონი გასაგებად გამომივიდა...

ისე კი, არ გაინტერესებთ სხვა „ოსვენციმ-ექსპრესებში“ რა ხდებოდა? ■



თალავი, ყვარელი, ლაგოდევი  
გორი, ქარელი, ხაშური  
ზესტავონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურევი, ქობულეთი, ბათუმი  
ვოთი, სენაცი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---